პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 ნოემბერი ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 264 (14564)

შრომითი ნობათები

● საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეზვრეებმა ხუთწლედის მეოთხე წელს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებით თავი ისახელეს. მიუხედავად ჭირვეული ამინდებისა, ბევრი საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა ყურძნის დამზადების წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულეს. ტრესტში გაერთიანებულმა საბჭოთა მეურნეობებმა ნაცვლად 52.925 ტონისა სამშოვლოს მივცეს 54.300 ტონა ყურძენი.

ყურძნის დამზადების გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხერსის, გურჯაანის, ნაფარეულის, ალგეთის, შაუმიანის, არაგვისპირის, არგვეთის, პანკისის, ვაზისუბნის (სამტრედიის რ.) საბჭოთა მეურნეობებმა, ახმეტისა და ტიბაანის სანერგე საბჭოთა მეურნეობებმა. ამ მეურნეობებმა გეგმის გადამეტებით დიდძალი ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს — ეს რედაქციას აცნობა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა ვ. მირიანაშვილმა.

● ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა პირობა ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით სახელმწიფოს მიეყიდა 12.648 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 10.190 ცენტნერისა, 19.884 ცენტნერი რძე ნაცვლად 17.850 ცენტნერისა. კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა მეორეთ [illegible] ცენტნერით — [illegible] ნაკისრი ვალდებულება გაანადა. პირველი ნოემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდა 4.603 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.750 ცენტნერისა, 9.035 ცენტნერი რძე ნაცვლად 9 ათასი ცენტნერისა, 281 ათასი ცალი კვერცხი, რაც წლიური გეგმის 125 პროცენტს შეადგენს.

● თიანეთის რაიონმა სიტყვა საქმედ აქცია — 1 ნოემბერს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შეასრულა 105 პროცენტით, რძისა — 104 პროცენტით, კვერცხისა — 194 პროცენტით, მატყლისა — 101 პროცენტით.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

იაროსლავლის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სკკპ იაროსლავლის საქალაქო კომიტეტის ანგარიში იაროსლავლის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის იაროსლავლის საქალაქო კომიტეტმა, რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, გარკვეული მუშაობა გასწიეს პარტიული კრებების, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოების, კომუნისტთა პოლიტიკური აღზრდის სკოლის როლის გასაძლიერებლად. კრებებზე განიხილავენ და წყვეტენ პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებისა და საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. კრებებზე დიდი ინტერესით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებს, პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. კრებებზე კომუნისტები განსაზღვრავენ პარტიული ორგანიზაციების კონკრეტულ ამოცანებს სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის გაუჯობესების, ეკონომიური რეფორმის განხორციელების, ტექნიკური პროგრესისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის დაჩქარების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ამ ბოლო დროს კრებები ყველგან ეწყობა გეგმებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის კომუნისტების, მშრომელთა კოლექტივების მობილიზაციის ნიშნით.

საქალაქო პარტორგანიზაციაში დაწყდა კარგი პრაქტიკა, როცა საქალაქო კომიტეტი, რაიკომები, პირველადი ორგანიზაციების პარტკომები და ბიუროები პერიოდულად მოახსენებენ კომუნისტებს კრებებზე თავიანთი მუშაობის შესახებ. კრებებზე კომუნისტები რეგულარულად ისმენენ პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა ინფორმაციას სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნების შესრულების შესახებ. ყოველივე ეს ხრდის კომუნისტების აქტივობას და პასუხისმგებლობას, დადებითს გავლენას ახდენს პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე.

იაროსლავლის კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები ბევრი მნიშვნელოვანი პატრიოტული წამოწყების ინიციატორები არიან. ამ წამოწყებათა გავრცელებამ ხელი შეუწყო იმას, რომ მოპოვებულია კარგი ეკონომიური წარმატებანი მრეწველობის მუშაობასა და შენებლობაში.

ამასთან ერთად სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ იაროსლავლის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკაში ადგილი აქვს დიდ ნაკლოვანებებს. ხშირად ირღვევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წესდებით გათვალისწინებული კრებების მოწვევის ვადები. მთელ რიგ შემთხვევებში კრებები ფორმალურად ეწყობა და ჯეროვან გავლენას ვერ ახდენს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასა და საქმეებზე. ბევრ კრებას ცოტა კომუნისტი ესწრება. კომუნისტების ნაწილს საშუალება არა აქვს დაესწროს კრებებს, რადგან საწარმოებში, სადაც მუშაობის მრავალცვლიანი რეჟიმია, კრებები თითქმის არ ეწყობა ცვლების მიხედვით.

პარტიულ კრებებზე ხშირად განიხილავენ უმნიშვნელო, ერთფეროვან საკითხებს, რომლებიც ძირითადად ეხება მიმდინარე საწარმოო საქმიანობას. ამავე დროს იშვიათად და ზერელედ განიხილავენ მრეწველობის განვითარების, მისი ეკონომიური ეფექტიანობის გადიდების, ორგანიზაციული მუშაობის ბევრ დიდმნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხს. კრებების განსახილველად ნაკლებად გამოაქვთ იდეურ-თეორიული საკითხები. მთელ რიგ ორგანიზაციებში პარტიული კრებები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ უწყობენ ხელს კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას, მათს მობილიზებას სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან, ლოთობასთან, სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან, მფლანგველობასთან და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენებთან საბრძოლველად.

კრებების მოწყობის დროს საკმაოდ არ ითვალისწინებენ პარტიის წევრებისა და კანდიდატების გაზრდილ პოლიტიკურ სიმწიფეს, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკურ დონეს, მათს მოთხოვნილებებს. მთელ რიგ შემთხვევებში კრებებს ამზადებენ ცუდად, აწყობენ ნაჩქარევად. კრებების დღის წესრიგის განსაზღვრაში, მომზადებაში, გადაწყვეტილებათა შემუშავებაში უშუალო მონაწილეობისათვის ნაკლებად იზიდავენ რიგითს კომუნისტებს. არ ზრუნავენ იმისათვის, რომ ღია პარტიულ კრებებს ესწრებოდნენ და საკითხების განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ მეტი უპარტიო მუშები და მოსამსახურეები.

პარტიული კრებების ქმედითობა მნიშვნელოვნად მცირდება იმის გამო, რომ კრებებზე ხშირად არ არის საკითხების საქმიანი, პრინციპული დაყენება, არ ჩაღდება აზრთა ფაქიანი ურთიერთგაზიარება. ბევრ ორგანიზაციაში კრებებზე გამოდის პირთა ვიწრო წრე. არის ბევრი ფაქტი, როცა კრებების მოწყობის წესი ზედიზედ რეგლამენტირებულია. ზოგიერთ ხელმძღვანელს ნაცვლად იმისა, რომ ამხანაგურად ეთათბიროს კომუნისტებს კრებებზე, კრებები მიაჩნია მოსახერხებელ ადგილად ზემოდან კრიტიკისათვის და მორიგი მითითებების მიცემისათვის.

მოხსენებები და გამოსვლები მუდამ როდი შეიცავენ საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობის, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებების, შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტების პრინციპულ პარტიულ კრიტიკას. ბევრ კრებაზე ამის შესახებ ლაპარაკობენ ზოგადი უპიროვნო ფორმით, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხელმძღვანელის შეცდომებს ზოგჯერ სტაბილურ პარტორგანიზაციის, მთელი კოლექტივის ნაკლოვანებად. ყოველთვის როდი იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას კომუნისტებისადმი პარტიული დისციპლინის, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ზუსტად დაცვისათვის.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება ფერხდება იმით, რომ პარტიული კომიტეტები, ხელმძღვანელი მუშაკები ზოგჯერ ყურადღებით არ ეკიდებიან კომუნისტების შენიშვნებსა და წინადადებებს. ცალკეული ხელმძღვანელები მტკივნეულად განიცდიან კრიტიკას, არ ჰყოფნით ტაქტი და პარტიული აღზრდა მოუსმინონ ამხანაგებს. ამ შეუწყნარებელ მოვლენებს ყოველთვის პრინციპულად როდი აფასებენ პარტიული ორგანიზაციები და კომიტეტები.

სერიოზული ნაკლია ის, რომ კრებებზე მიღებული დადგენილებები ხშირად არაკონკრეტული, დეკლარაციული ხასიათისაა. არადამაკმაყოფილებლად წარმოიმართ მუშაობა მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის, არ არის ჯეროვანი მომთხოვნელობა მათი განხორციელებისათვის. მიღებულ დადგენილებათა შესრულების სუსტი ორგანიზაციისა და სუსტად შემოწმების გამო სამეურნეო საქმიანობასა და პოლიტიკურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები ნელა სწორდება. მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე ჯერ კიდევ მოლიანად არ იყენებენ წარმოების შინაგან რეზერვებს, ურიგდებიან სამუშაო დროის დიდ დანაკარგებს და უნაყოფო ხარჯებს, მთელი რიგი საწარმოები სისტემატურად არ ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. ქალაქში არ მცირდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების რიცხვი.

პარტიის იაროსლავლის საქალაქო კომიტეტი, რაიკომები საკმარისად არ სწავლობენ და არ განაზოგადებენ პარტიული ორგანიზაციების პარტკომებმა და ბიუროებმა ბევრ პარტიული კრებების პრაქტიკას, ნაკლებად ეხმარებიან პირველადს პარტორგანიზაციებს კრებების მომზადებასა და მოწყობაში. ზოგჯერ პარტიული კომიტეტები საკმაოდ უსაფუძვლოდ ავალებენ პარტორგანიზაციებს განიხილონ ერთი და იგივე საკითხი, არ ითვალისწინებენ თვითეული მათგანის საქმიანობის სპეციფიკასა და პირობებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის იაროსლავლის საქალაქო კომიტეტს, რაიკომებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს პარტიული კრებების როლი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების განხორციელებაში.

პარტიული კრებები ყოველი ღონისძიებით უნდა უწყობდნენ ხელს პარტიის წევრებისა და კანდიდატების, ყველა მშრომელის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდას. ისინი უნდა იყონ ქმედითი სამუალება იმისათვის, რომ კომუნისტები და უპარტიოები დარაზმონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, პარტიული დირექტივების შესრულებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობისათვის, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, მასების იდეური აღზრდის გაუჯობესებისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუჯობესებისათვის საბრძოლველად.

უნდა ავამაღლოთ პარტიული კრებების, როგორც პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოს მნიშვნელობა, ყველაფერი ვიღონთ, რათა ისინი გადამწყვეტ გავლენას ახდენდნენ შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებაზე, მუშაობაში კოლექტიურობის ლენინური პრინციპის განმტკიცებაზე.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიული კრებების შეაჯარის, აამაღლონ მათი შედეგიანობა. კრებების განსახილველად უნდა გამოგვქონდეს ისეთი საკითხები, რომლებიც კოლექტივს აღელვებს, რომლებსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობისათვის. უნდა მივაღწიოთ, რომ კრებები ნამდვილად გახდნენ კომუნისტთა აღზრდის სკოლა, აქტიურად უწყობდნენ ხელს მათს პოლიტიკურ წრთობას, ამაღლებდნენ პირად პასუხისმგებლობას თავის ორგანიზაციაში და მოლიანად პარტიაში საქმის ვითარებისათვის. თვითეული კრება უნდა იყოს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, დადებით გავლენას ახდენდეს მთელი მუშაობის გაუჯობესებაზე.

გულდასმით უნდა ვამზადებდეთ კრებებს, ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ ისინი მიმდინარეობდეს ორგანიზებულად, აზრთა თავისუფალი და საქმიანი ურთიერთგაზიარების, მაღალი პრინციპულობისა და ურთიერთმომთხოვნელობის ვითარებაში. საკითხების მომზადებასა და განხილვაში ფართოდ უნდა ჩავაბათ რიგითი კომუნისტები, განსაკუთრებით კომუნისტები მუშათა რიცხვიდან, შევქმნათ საჭირო პირობები იმისათვის, რომ ისინი უფრო ხშირად გამოდიოდნენ კრებებზე, გულახდილად უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს.

საქალაქო კომიტეტმა, რაიკომებმა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომებმა და ბიუროებმა პარტიულ კრებებზე ფართოდ უნდა გააჩაღონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, აამაღლონ მისი ქმედითობა, თავი არ აარიდონ მწვავე საკითხების განხილვას. კრიტიკა უნდა გამოვიყენოთ მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით კადრების აღზრდისათვის.

ყველა პარტიულ ორგანიზაციაში საჭიროა შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ კომუნისტები გაბედულად ამხილებდნენ ნაკლოვანებებს და დარწმუნებული იყონ, რომ პრინციპიული კრიტიკას, საქმიან წინადადებებს კეთილმოსურნეულ გამოეხმაურებიან, მხარს დაუჭერენ, უფრო მტკიცედ აღმოფხვრიან პარტიული კრებების მონაწილეთა გამოსვლებისადმი უპატივცემლო დამოკიდებულების შემთხვევებს.

პირველადი ორგანიზაციების პარტიულმა კომიტეტებმა, ბიუროებმა მუდამ უნდა ადევნონ თვალი იმას, თუ როგორ სრულდება კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი, და დროზე შეატყობინონ ეს კომუნისტებს. შენიშვნები ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების მიმართ უნდა განიზიგადონ და აცნობონ მათ. ამ ორგანოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყურადღებით განიხილონ ყველა კრიტიკული შენიშვნა და შეატყობინონ პირველადს ორგანიზაციებს მათ გამომიღებული ღონისძიებანი.

პარტიული კრებების ქმედითობის ასამაღლებლად საჭირო ვეცადოთ, რომ ისინი იღებდნენ კონკრეტულ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს განსახილველ საკითხებზე. ძირეულად გავაუმჯობესოთ მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაცია და შემოწმება, მკაცრად მოვთხოვოთ პასუხი იმათ, ვისი მიზეზითაც იფუშება ამ დადგენილებათა შესრულება. თვითეული კომუნისტი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ამ მუშაობაში, იჩენდეს ინიციატივას და სიმკაცეცეს კოლექტიურად შემუშავებულ ღონისძიებათა შესრულებაში. პარტიული კომიტეტები და ბიუროები რეგულარულად უნდა მოახსენებდნენ პარტიულ კრებებს, თუ როგორ სრულდება წინათ მიღებული დადგენილებანი და კომუნისტთა წინადადებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიის იაროსლავლის საოლქო კომიტეტს, საქალაქო კომიტეტსა და რაიკომებს სისტემატურად გაუკეთონ ანალიზი პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკას, განაზოგადონ იგი, დროზე გამოავლინონ და აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, აამაღლონ მომთხოვნელობა პირველადი ორგანიზაციებისადმი პარტიული დისციპლინის მდგომარეობისათვის. პარტიის საოლქო კომიტეტის, საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების მდივნები, ბიუროების წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები მეტ დახმარებას უნდა უწევდნენ პარტიული კრებების მოწყობასა და მათ მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, უფრო ხშირად უნდა გამოდიოდნენ კრებებზე მოსასენებებითა და ინფორმაციებით, პირადად მონაწილეობდნენ მათს მუშაობაში.

საჭიროა მუდამ გვქონდეს მხედველობაში, რომ პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის ყოველი ღონისძიებით გაუჯობესებას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს მთელი პარტიული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების განმტკიცებისათვის. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს სკკპ XXIII ყრილობის მითითება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გადიდების შესახებ.

გაზეთების „პრავდის“, „სოვეტსკაია როსიის“, „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“, „სელსკაია ჟიზნის“, ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ რედაქციებს, აგრეთვე რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს ეკალებათ სისტემატურად აქვეყნებდნენ მასალებს პარტიული კრებების შესახებ, უკეთ აშუქებდნენ პარტიული ორგანიზაციების დადებითს გამოცდილებას ამ საქმეში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის იაროსლავლის საქალაქო კომიტეტს დაავალა 1970 წლის 1 აგვისტოს მოახსენოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ამ დადგენილების შესრულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოში

მეცხოველეობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის

განიხილეს რა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გაწეული სოციალისტური შეჯიბრების 1969 წლის შესამე კვარტალის შედეგები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიანიჭონ ზ ო რ ა ჯ ო მ ი ს რაიონს.

რაიონმა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა შეასრულა: ხორცისა — 235,4 პროცენტით, რძისა — 196,6 პროცენტით, კვერცხისა — 113,3 პროცენტით.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობამ შეადგინა 97 პროცენტი, მათ შორის ძროხისა — 105 პროცენტი, ღორისა — 130 პროცენტი, ცხვრისა და თხისა — 103 პროცენტი, ფრინველისა — 189 პროცენტი.

ხორცის წარმოების კვარტალური გეგმა შესრულდა 131 პროცენტით, რძისა — 108 პროცენტით.

აღინიშნა ტყიბულის, ამბროლაურის, ონის, აბაშის, ზუგდიდის, მასხარაქის, ლაგოდეხის, ზესტაფონისა და შუახევის რაიონების მეცხოველეთა კარგი მუშაობა. (საქდისი).

[illegible]

აღინიშნა ბოგდანოვკის, ფიოლეტოვარის, სიღნაღის, ხაშურის, თეთრი წყაროსა და ჯავის რაიონების მეცხოველეთა კარგი მუშაობა.

რაიონების მეორე ჯგუფში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი ფიოლეტი დროშა მიენიჭა ო ნ ი ს რაიონს.

რაიონმა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა შეასრულა: ხორცისა — 235,4 პროცენტით, რძისა — 196,6 პროცენტით, კვერცხისა — 113,3 პროცენტით.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობამ შეადგინა 97 პროცენტი, მათ შორის ძროხისა — 105 პროცენტი, ღორისა — 130 პროცენტი, ცხვრისა და თხისა — 103 პროცენტი, ფრინველისა — 189 პროცენტი.

ხორცის წარმოების კვარტალური გეგმა შესრულდა 131 პროცენტით, რძისა — 108 პროცენტით.

აღინიშნა ტყიბულის, ამბროლაურის, ონის, აბაშის, ზუგდიდის, მასხარაქის, ლაგოდეხის, ზესტაფონისა და შუახევის რაიონების მეცხოველეთა კარგი მუშაობა. (საქდისი).

კომკავშირული მუშაობა — მეცნიერულ საფუძველზე

12 ნოემბერს თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიხსნა რესპუბლიკური კონფერენცია თემაზე: „კომკავშირული მუშაობის მეცნიერული საფუძვლები და ეფექტიანობა“. კონფერენცია განიხილავს კომკავშირული მუშაობის პრობლემებს, დასახავს მეცნიერულ საფუძველზე მისი შემდგომი განვითარების გზებს.

კონფერენცია მოაწყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა. კონფერენციაში მონაწილეობენ კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, კომკავშირული მუშაკები, მასწავლებლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ვ. მეტრეველმა.**

მოხსენება „პარტია და კომკავშირი“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **პ. ა. როდიონოვმა.**

„ლენინი და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები“ — ასე ეწოდებოდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სექტორის გამგის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **გ. კ. ფეანიას** მოხსენება.

მოხსენება „სრულყოფთ კომკავშირის მუშაობა კომუნისტური რწმენისა და მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის დარგში“ წაიკითხა **რ. ვ. მეტრეველმა.**

კონფერენციის თერთმეტ სექციაში განიხილავენ 100-ზე მეტ მოხსენებას. მოხსენებანი მიეძღვნება ისეთ თემებს, როგორიც არის „კომკავშირის მუშაობის სრულყოფა ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და კომუნისტური რწმენის ჩამოყალიბების საქმეში“, „ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შემდგომი ამაღლების გზები და საშუალებანი“, „მრეწველობის, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს, მშენებლობის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები“, „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დონის ამაღლება“, „კომკავშირის მუშაობის სრულყოფა მოსწავლეთა აღზრდისა და პიონერული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში“, „კომკავშირის მუშაობა ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდისათვის“, „ახალგაზრდობის აღზრდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით“, „თავისუფალ დროის რაციონალურად გამოყენებისათვის კომკავშირის კომიტეტების მუშაობის ფორმები და მეთოდები“, „პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისა და თანამედროვე ეტაპზე კომკავშირის საქმიანობაში მისი როლის შემდგომი ამაღლება“, „კომკავშირული ორგანიზაციებისადმი კომკავშირის კომიტეტების ხელმძღვანელობის მეცნიერული საფუძვლები და ეფექტიანობის ამაღლების გზები, კომკავშირული კადრებისა და აქტივის შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის მარქსისტულ-ლენინური პრინციპები“.

კონფერენციის მუშაობა 14 ნოემბრამდე გასტანს. (საქდისი).

მეგობრობაშია ჩვენი ძალა

თბილისში დაბრუნდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეების მონაწილეები

10 ნოემბერს დამთავრდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეები. ათი დღის განმავლობაში რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატები, შემოქმედებითი კოლექტივები აცნობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს ქართველი ერის თვითმყოფად ხელოვნებას, მის სიმღერებსა და ცეკვებს, კლასიკურ ნაწარმოებებს. საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, განათლების მუშაკებმა, წარმოების ნოვატორებმა დირსეულად წარმოადგინეს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები, უჩვენეს, თუ რა წარმატებებს მიაღწია საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

საქართველოს კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი მოვლენაა. ეს არის ჩვენი სოციალისტური კულტურების სასახარულო დღესასწაული.

12 ნოემბერს სპეციალური თვითმფრინავებით თბილისში დაბრუნდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეების მონაწილები. მათ შესახვედრად თბილისის აეროდრომზე შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ახალგაზრდობა, ჟურნალისტები. აქ მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხეიძეშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბერძენიძე, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე მ. ია ქაშვილი, ხელმძღვანელი მუშაკები.

...13 საათია. თვითმფრინავები აეროვაგზლის შენობასთან შეჩერდნენ. კიბეზე ჩამოდიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. მეგობრული შეხვედრა, ხელის ჩაშორთმევა, ყვავილები.

— გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეები დიდი მოვლენაა ჩვენი ხალხების ურთიერთდამოკიდებულების ისტორიაში, — უთხრა საქდისის კორესპონდენტს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ პ. დვალიშვილმა. — ჩვენ ვიყავით იმის მოწმე, თუ რა ძურად, რა გულწრფელი პატივისცემით მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეებმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. ყველგან, სადაც კი გამოდიოდნენ ქართველი ხელოვნების მოღვაწენი, მათ გულთბილად იღებდნენ. მათმა გამოსვლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. გერმანელ მეგობრებთან გატარებული დღეები დაუვიწყარია. ეს იყო ღრმა, წარუშლელ შთაბეჭდილებათა, საინტერესო შეხვედრათა დღეები. ეს დღეები ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების მეტ დაახლოებას, უკეთეს ურთიერთგაგებას და ნაყოფიერ თანამშრომლობას ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

ამ სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეები საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის ახალი დემონსტრაცია იყო.

თქვენი ყველაზე შაყფიო შთაბეჭდილება?

ამ კითხვით მიმართა საქდისის კორესპონდენტმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ ქართული კულტურის ზოგიერთ მოღვაწეს.

თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პროორექტორი ე. ბუბუშვილი:

— კეთილი, სტუმართმოყვარე, ცოდნისმოყვარე, ჩვენი კულტურით დაინტერესებულნი, გერმანელები, ყველგან გულღიად, დიდი სიყვარულით, ძმურად გვხვდებოდნენ.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი:

— გულთბილად მიმიღეს მსმენელებმა ოპერა „ჩიო-ჩიოსანში“ გამოსვლისას. ამ ოპერაში, რომელიც ბერლინის შტადტს-ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა, ვასრულებდი მთავარ პარტიას.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე:

— ჩვენი ფილმების წარმატება, რომლებიც ქართული კულტურის დღეებში უჩვენეს, და კიდევ ერთი: კონტაქტის დამყარება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეთა შორის.

ქართული ხელოვნების ჩვენება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებში დამთავრდა. მაგრამ გრძელდება ორი მხატვრული კოლექტივის — სიმფონიური ორკესტრის „რერროსა“ და საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები.

* * *

სურათზე: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეების მონაწილეთა შეხვედრა თბილისის აეროპორტში.

ფოტო ბ. ბახტანაძისა.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი

მოსკოვში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 12 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი თანმხლებ პირებთან ერთად.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო თურქეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, სალამო სტუმარს შეხვდნენ ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ბ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი და სხვები.

საბჭოთა კავშირში ჩამოსული თურქეთის რესპუბლიკის პ

ПАРТИЙНЫЙ ПРОСВЕЩЕНИЕ

ინსტრუქტორის საერთაშორისო დღე

ლილით ადრე, როცა სამუშაო დღე ჩადგება, ტუუილად შეეცდებით რაიონულ ცენტრში იპოვნოთ მუშაკთა თუნდაც ერთი ჯგუფი. მეტწილ შემთხვევებში ისინი თავიანთ სამოქმედო ზონებში არიან წასულნი. იმ დღეს ძალიან ადრე გაშეზავრებულიყო ერწოში პარტიის თიანეთის რაიკომის ინსტრუქტორი. მათე ფიცხელაური, რომელთანაც შეხვედრა და საუბარი ადრევე მირჩიეს ამხანაგებმა.

შეეცადე ამ ახალგაზრდა პარტიულ მუშაკთან ერთად მეკლო ივრისპირეთის სოფლებსა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში, გაგცნობოდი პარტიულ ორგანიზაციებს, მათს ხელმძღვანელებსა და რიგით კომუნისტებს, გამეგო, როგორ ასრულებს პარტიის რაიკომის უშუალო წარმომადგენლის როლს 22 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, რომლებიც მისი მომსახურების ზონაში შედიან, როგორ სწავლობს თვითონ და ასწავლის სხვებს, რა არის მთავარი მის მოღვაწეობაში.

უწინარეს ყოვლისა, მაინტერესებდა, რა საქმეზე მიისწრაფოდა იმ დილით გორანის კოლმეურნეობაში, რომელიც მაწინავე მეურნეობად ითვლება რაიონში, სადაც საგანგაშო თითქმის არაფერი არ იყო. მას ხომ შეეძლო წასულიყო სხვაგან, ვთქვათ სიმონიანთხევში, სადაც პარტიული ორგანიზაციის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ იდგა.

მათე ფიცხელაურს გორანაში მიეჩქარებოდა ერთი გადაუდებელი საქმის გამო. წინადღეს პარტიმდენი დაიმახსოვრა, რომ დაანიანურეს კიდეც. ახლა კომუნისტი ფარესიშვილი კოლმეურნეობაში მებაღეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს და არც თუ ცუდად.

როგორც ზემოთ ითქვა, სიმონიანთხევის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის საქმიანობა მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა, პარტიული კრებები მოუმზადებლად, დაბალ იდეურ დონეზე ეწყობოდა, ზოგი კომუნისტი მაგალითს არ იძლეოდა შრომაში, ხშირ შემთხვევაში არ მოწმდებოდა მიღებულ დადგენილებათა შესრულება. საჭირო გახლდათ საქმის გამოსწორება, და ინსტრუქტორსაც არ დაუყოვნებია, იგი ამ ორგანიზაციაში რჩებოდა ხანგრძლივად, რაზმავდა აქტივს, ესაუბრებოდა პარტბიუროს წევრებს, რიგითს კომუნისტებს, როგორ მოეკლოთ საქმისათვის. პრაქტიკულად ეხმარებოდა მათ ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში, შინაპარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სანიმუშოდ მოწყობაში.

ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. პარტიულ კრებებზე განსახილველად გამოიტანეს საკოლმეურნეო წარმოების საჭირბოროტო საკითხები, გაჩაღდა კრიტიკა და თვითკრიტიკა, კომუნისტები მიეჩვივნენ კრებებზე საქმიან გამოსვლებს.

პარტიული ორგანიზაცია კომუნისტების საშუალებით დიდ გავლენას ახდენს წარმოებაზე, რომლის გადამწყვეტ უბნებზე თვითონ შრომობენ. ამაღლდა მათი ავანგარდული როლი და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი. იმატა პარტიის თვითეული ჯარისკაცის აქტივობამ, გაფართოვდა მათი ბორიზონტი, კომუნისტთა უმრავლესობა ბეჯითად შრომობს თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ასამაღლებლად.

ამ საქმეში პატარა როლი როდი შეასრულა რაიკომის ინსტრუქტორმა.

ეს მაგალითი იმისათვის მოვიყვანეთ, რომ ერთხელ კიდევ ხაზი გაგვესვა ჭეშმარიტებისათვის — ნამდვილი პარტიული, მუშაკი, უწინარეს ყოვლისა, ორგანიზატორია, მას უყვარს ცოცხალი საქმე, მიზანსწრაფული და ყოველდღიური ბრძოლა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და არა მარტო მათი აღნუსხვა და რაიკომში მიტანა.

ინსტრუქტორი უპირველესი დამაკავშირებელი რგოლია ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოსა და ძირეულ ორგანიზაციებს შორის, ის პარტიული კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენელია. ამით უწინარეს-ყოვლისა განისაზღვრება მისი როლი პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანის გადაწყვეტაში — დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში, შინაპარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანაში.

ხუთი წელია ამ მთავარი ამოცანის შესრულებას ემსახურება პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი მათე ფიცხელაური, რომელსაც ყველა პარტიულ ორგანიზაციაში სიამოვნებით ელიან, რადგან მისი იქ ყოფნა ყოველთვის კეთილ კვალს ტოვებს.

შეეკითხეთ ინსტრუქტორს: — რატომ პასიურობს ზოგიერთი კომუნისტი? როგორც თქვენ აღნიშნეთ, ასეთი მდგომარეობა ყოფილა ერთ დროს გორანაში, იქ ხომ პარტორგანიზაციის მდივანი კარგი ადამიანი იყო და კომუნისტებიც საუკეთესოდ შრომობდნენ?

— კომუნისტთა რა აქტივობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მათ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს ყურს არ უგდებენ. ადამიანები მაშინ აქტივობენ, როცა ხედავენ თავიანთი კრიტიკის შედეგს. გორანაში, მაგალითად, იყო საზოგადოებრივი კომენდანტი, ერთ-ერთი საშუალე, რომ რაიკომის ბიუროს საშუალება ექნებოდა ღრმა ანალიზი გაუკეთოს პარტიული მუშაობის ამ მნიშვნელოვან მხარეს.

ინსტრუქტორთა შრომის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მათდამი ხელმძღვანელობაზე. როგორც წესი, ინსტრუქტორებს მივლინებიდან დაბრუნებისას პირადად ესაუბრება რაიკომის პირველი მდივანი ნ. მგელაშვილი. საუბარში დიდი ადგილი ეთმობა იმას, თუ რა გაუჭირდათ, რა დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ ამხანაგებს ამა თუ იმ დავალების შესრულებაში, როგორია ინსტრუქტორის მომავალი მუშაობის გეგმა, ითვალისწინებს თუ არა იგი პარტიული მუშაობის ყველა სფეროს. ამას გარდა, ყოველ ორშაბათს დილით რაიკომის მდივანი იხმენს მათს ანგარიშს გაწეულ მუშაობაზე.

ხელმძღვანელის სიტყვას და შრომას მაშინ აქვს ფასი, როცა ის მუშაობს თავისთავზე, მეგობრობს წიგნთან, პერიოდულ ლიტერატურასთან. ნათქვამია, კოკასა შიგან რაცა ხდგას, იგივე წარმოდინდების... მათე ფიცხელაურიც ბევრს სწავლობს, ხუთი წლის წინათ დაუსწრებლად დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ამჟამად დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს პარტიულ სკოლაში, აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, ამხანაგების წინაშე გამოდის ლექციებით, მოხსენებებით.

ყოველდღიური შრომა, როგორც ბრძენი მასწავლებელი, ასწავლის პარტიულ მუშაკს და, არა მარტო ასწავლის, არამედ ამოწმებს კიდეც, თუ როგორ ეუფლება იგი ცხოვრების გაკვეთილებს, მკაცრად სჭის იმათ, ვინც აღარ სწავლობს და კმაყოფილდება მიღწეულით, ანდა გაუყოჩდება. ადვილი როდია ფეხდაფეხ მიყვებოდე ცხოვრებას. ამისათვის საჭიროა თავდადებული შემოქმედებითი შრომა, მორალური და ფიზიკური ძალების დაძაბვა. უამისოდ არ არსებობს პარტიული მუშაკი და საერთოდ პარტიული მუშაობა.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ЧЕТВЕРТАЯ ШКОЛА ПАРТАКТИВА

დამხმარე მუშა და რეფორმა

ოანამედროვე პირობებში, როცა მთელ მრეწველობაში დასაქმებული მუშების თითქმის 50 პროცენტი დამხმარე მუშებია, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი და დამხმარე მუშების სწორი შეფარდების უზრუნველყოფას, რაც შრომის სწორ განაწილებასა და კოოპერირებაში გამოიხატება. უამისოდ წარმოუდგენელია სამუშაო ადგილების ორგანიზაცია და მომსახურება, კადრების მომზადება, შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების შესწავლა, შრომის დანორმვის გაუმჯობესება, შრომისა და დასვენების რაციონალური გამოყენება, მატერიალური და მორალური სტიმულების განვითარება და სხვ.

ყოველივე ამის სრულფასოვანი გამოყენებისათვის აუცილებელია შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვაწყოთ წარმოება და შრომა რაციონალურად, მეცნიერულ საფუძველზე, ე. ი. უზრუნველვყოთ საწარმოო ციკლის ძაქსიმალური უწყვეტობა და შემცირება, წარმოების რიტმულობა ნაკადისა და სადღეღამისო, საათობრივი გრაფიკის საფუძველზე, დავაწესოთ შრომის ყველაზე ეკონომიური მოძრაობანი, შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმი, შევამუშაოთ შრომელთა შრომის პირობები, მაქსიმალურად გამოვიყენოთ სიმძლავრეები, მოწყობილობა, სამუშაო დრო, საწარმოო ფართობები, უზრუნველვყოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

როგორც ცნობილია, შრომა საწარმოებში ტექნოლოგიური, პროფესიული და ფუნქციონალური სახით არის განაწილებული, ამის შესაბამისად ნაწილდება სამუშაო ძალაც. მუშები, რომლებიც შრომის იარაღების საშუალებით ასრულებენ პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიურ ოპერაციებს, ძირითად მუშებს მეკუთვნებიან, ხოლო ისინი, ვინც უმუალოდ არ აწარმოებს პროდუქციას, მაგრამ თავისი მომსახურებით ხელს უწყობს პროდუქციის წარმოების განუწყვეტელ პროცესს, დამხმარე მუშებია. ესენი არიან: სასაწყობო, სატრანსპორტო მეურნეობაში, მოწყობილობის, ენერგოდანადგარების და ქსელების მოსმახურებაზე მომუშავენი, კონტროლიორები, წარმოების მოსამზადებელი და სამეურნეო სამუშაოს შემსრულებელი მუშები.

თბილისის ელექტრომამდენელ ქარხანაში დამხმარე მუშები მუშების მთელი რაოდენობის 51,2 პროცენტს შეადგენენ. ქარხნის მუშების 45 პროცენტი და დამხმარე მუშების 75 პროცენტი დასაქმებულია დამხმარე მასალების და პროდუქციის გადაადგილება-ტრანსპორტირებაზე. ეს გასაგებიც არის, აქ სამუშაო პროცესები ყველაზე და ნახევარფაბრიკატების ერთი ადგილიდან მეორემდე ტრანსპორტირება ნაკლებად არის მექანიზებული, რაც დამხმარე მუშების რიცხვს ზრდის. ნაკლებად არის მექანიზებული აგრეთვე კონტროლიორების, ზეიპკაკ-შემკეთებლების სამუშაო პროცესები, ამიტომ მათი რაოდენობა არა თუ კლებულობს, იზრდება კიდეც. მაგალითად, დამხმარე მუშების რაოდენობა 1969 წელს 1962 წელთან შედარებით 84 პროცენტით გაიზარდა, მარმანდელთან შედარებით ზრდა 5 პროცენტია, მაშინ როცა ძირითადი მუშების რაოდენობა იმავე პერიოდებში შესაბამისად 9,8 პროცენტით და 61 პროცენტით გაიზარდა.

დამხმარე მუშების ზრდა ძირითად მუშებთან შედარებით უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ ჯერჯერობით ადვილია ტექნიკა დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. დამხმარე მუშების რაციონალური გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა პროფესიებისა და ოპერაციების შეთავსების მოწინავე პრაქტიკის დანერგვა. ამ მხრივ ქუთაისი ღირსნი არიან თბილისის ელექტრომამდენელი ქარხნის შემდეგ ელი პარატების ამყოფი ბრიგადის წევრები, კომუნისტური შრომის დამკვრელები ქ. ბახილაშვილი და გ. პეტკაშვილი, რომლებმაც ბრიგადის ყველა წევრს შეასწავლეს შემდეგ ელი პარატების აწყობის ყველა ოპერაცია და ამით მოლიანად აღმოფხვრეს მუშაობის პერიოდში ადრე არსებული სამუშაო დროის უქმი დანაკარგები.

თბილისის მაუდ-კამბოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კომუნისტური შრომის ბრიგადირმა ბ. თევდორაძემ ქალების პროცესში მომხდარი დაზგის მცირე დეფექტის გასასწორებლად თავისი ბრიგადის ყველა წევრს შეასწავლა ჩანგლის გამოცვლისა და გადამჭერის წმენდა-გასწორების ტექნიკა. ადრე აღნიშნულ ოპერაციებს თვითონ მარტო ასრულებდა და ვერც ასწრებდა, რის გამო ღღეში საშუალოდ 5-5 წუთით ცდებოდა 5 დაზგა. ახლა კი ბრიგადამ საგრძნობლად გაზარდა სამუშაო დროის გამოყენების კოეფიციენტი.

ცალკეული ოპერაციების შეთავსების მოწინავე პრაქტიკის დანერგვით თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისში“ დაინერგა მრავალდაზგოსნური მომსახურება. აქ დღეს მრავალი მუშა გეგმით გათვალისწინებული ხუთი დაზგის ნაცვლად შვიდ დაზგას ემსახურება.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ საწარმოების ძირითად და დამხმარე მეურნეობებში საჭიროა მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, [illegible] ავტომატიზაციისა და საწარმოო პროცესებისა ავტომატიზაციის [illegible], მოწყობილობის მოდერნიზაციისა.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა ბარეული თბილისის მაუდ-კამბოლის კომბინატში, სადაც დაიდგა შალალი წარმადობის 58 დაზგა-დანადგარი. მაუდის წარმოებაში ფოთლის ტრანსპორტირება საჩქაროდ სართავ მანქანამდე, ახლა მექანიზებულია, რამაც შესაძლებელი გახადა 5 მუშადავის გამოთავისუფლება. განხორციელდა სიგნალიზაცია საქსოვ საამქროსა და მოსამზადებელ საამქროს შორის, გამომყვან წარმოებაში მოეყოლა სარეცი და სამღებრო მანქანებიდან ქსოვილის ამოტეგირთვის მექანიზაცია, ამან კი წარმოებას 6 1/4 ძალითი ეკონომია მისცა. ახლო მომავალში გათვალისწინებულია კომბინატის ძირითად წარმოებებში ბამბისა და შალის შერევის პროცესის მექანიზაციის დამთავრება, ბოჭკოების შეღებვისა და კარბონიზაციის პროცესში კი მძიმე შრომატევადი სამუშაოების აღმოფხვრა.

დამხმარე მუშების შემცირების და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით უკანასკნელ ხანს ბევრი კარგი ღონისძიება განხორციელდა თბილისის ელექტრომამდენელ ქარხანაში. მარტო მახალებისა და ნახევარფაბრიკატების ცენტრალიზებული წესით საამქროებში შეტანის დანერგვით შრომის ნაყოფიერება 8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ამ გზით მიღწეულმა პირობითმა ეკონომიამ 6.039 ათას მანეთი შეადგინა. ასევე კარგი შედეგებია აქვს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანას. ინვენტატერ ჩაქუჩებზე სატვინების ცენტრალიზებული წესით ალესვამ უზრუნველყო ძირითადი მუშების დამხმარე ოპერაციებისაგან განთავისუფლება, რაზეაც პროდუქციის გამოშვება 8-10 პროცენტით გაზარდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრ საწარმოში გამოთავისუფლებული მუშები ძველ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ გამოყენებულ იქნენ ძირითად წარმოებაში. მაგრამ ეს საკმარისი როდია. როგორც აღნიშნულ, ისე ბევრ სხვა საწარმოში შრომა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მექანიზებული. ჯერჯერობით ყურადღება არ ექცევა ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენებას.

თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება რთული აგრეგატების, ავტომატიზებული მოწყობილობის, მანქანების და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას, მართვისა და გაწყობის ხერხების სრულყოფას, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე მომუშავე საწარმოები მეტი გულისყურით უნდა მოვკიდონ პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, რაც შრომის მეცნიერული ორგანიზაციის წარმოებაში დანერგვის კარგი საშუალებაა.

ს. ლიაკონიძე,
ხალხთა მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი.

ДИДИ მოთხოვნილებით სარგებლობს თბილისის ტყავ-საგალანტერიო ფაბრიკის პროდუქცია. ახლახან მოსკოვში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ამ საწარმოს მიერ გამოშვებული სხვადასხვა ასორტიმენტის ლამაზი, მოდენილი ჩანთები, საგალანტერიო ნაწარმი. სურათზე: დამმაგრებელი ე. მელაძე (მარცხნივ) და მკერავი ც. ილიაევა ეცნობიან ახალ მოდელებს, რომელთა გამოშვებასაც ფაბრიკაში ახლახან შეუდგნენ.

ფოტო ვ. მორგუნოვისა
(საქდესის ფოტოქრონიკა)

ახალი ნანარმი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ვალს გადახდა უნდა

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო

„კომუნისტში“ ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო რომ მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა რესპუბლიკის თბილი რიგი სამინისტროები და ორგანიზაციები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სახელმწიფო სესხის გადახდას. 1968 წელს მოკლევადიანი გადაგადაცილებული სესხებისათვის ბანკმა ორგანიზაციებს საურავის სახით გადაახდევინა 3,5 მილიონ მანეთზე მეტი.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ რედაქციას აცნობა:

სამინისტროს კოლეგიამ განიხილა სახბანკის სესხებისა და მომწოდებლის გადაგადაცილებული დავალიანების საკითხი და ტრესტის მმართველებსა და სამმართველოს უფროსებს დაავალა ბიუროლონ წარმოების ხელმძღვანელები დროულად დაფარონ ვადაგადაცილებული სესხები, გაანალიზონ მომწოდებლების ანგარიშები და გაგზავნილ პროდუქციაზე გამოწერილი ანგარიშები წარუდგინონ გადამხდელ ორგანიზაციებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკუთარ სბრრუნვა საშუალებათა გამოთავისუფლებას, ზეგეგმით დანაზოგებს, აგრეთვე ზედმეტ და გამოუყენებელ სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ნაშთებს, დებიტორულ დავალიანებას, ამასთან დაკავშირებით შესწავლილ იქნას: თვითეულ წარმოებაში ზენორმატული და ბანკის მიერ არადაკრედიტებულ მატერიალურ ფასეულობათა ნაშთის წარმოშობის მიზეზები და განხორციელდეს ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს დაბანდებულ საბრუნავ საშუალებათა გამოთავისუფლებას; მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები ზედმეტ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციისათვის; გაძლიერდეს მუშაობა ტრესტებში, სამმართველოებსა და საწარმოებში დებიტორული დავალიანების შემცირებისათვის.

წინადადება მიეცეთ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის დირექტორებს და უფროს ბუღალტრებს დაიცვან საკასო დისციპლინა, დააწესონ კონტროლი სახელმწიფო ბანკიდან მიღებული მიზნობრივი სესხების ხარჯვაზე და არ დაარღვიონ სახბარჯთაღრიცხვიანობა-საფინანსო დისციპლინა.

სასჯელი დაედოთ საწარმოების დირექტორებს და უფროს ბუღალტრებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს წესრიგის დამყარება საწარმოებში, დროულად არ დაფარეს სახბანკის ვადაგადაცილებული სესხები და მომწოდებლების დავალიანება.

სამინისტროს კოლეგიის წევრს, საფინანსო განყოფილების უფროსს ვ. აბზიანიძეს დაეკალა მეოთხე კვარტალში უზრუნველყოს აღნიშნული დადგენილების შემოწმება და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

რედაქციისაგან:

წერილში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ დიდი ხანით ვადაგადაცილებული დავალიანება ირიცხება რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებზე, საქმიანობისტანავარობის საბითუმო კანტორაზე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, საშენ მასალათა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის სამინისტროებზე, „საქკონსერვხილმოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტზე, „საქკომმრეწვზე“, „საქნახშირის“ კომბინატზე და „საქმთავარმმართველის“ სამმართველოზე.

აღნიშნულმა ორგანიზაციებმა და სამინისტროებმა მიუხედავად იმისა, რომ წერილის გამოქვეყნებიდან თითქმის ორთვენახევარი გავიდა, რედაქციას პასუხი არ გამოუგზავნეს. ალბათ მათ არ აწუხებთ ის, რომ ვადაგადაცილებული სესხებისა და ანგარიშების გაუნაღდებლობისათვის საურავის სახით დიდ თანხებს იხდიან, ირღვევა საკრედიტო დისციპლინა, სახალხო მეურნეობაში ეფექტურად არ იყენებენ კრედიტს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ — ჯარიმებს ორგანიზაციების ხელმძღვანელები თავიანთი ჯიბიდან რომ იხდიდნენ, ამ მეტად მნიშვნელოვან ხაკითხს ასე უყურადღებოდ არ დატოვებდნენ.

□ □ □

გაჭიანურებული მშენებლობა

ჭიათურაში მშენებლობის მიმდინარეობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წერილის გამო საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. ჯაშაკიძე რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილზე გაჭიანურებული მშენებლობის მესაბამ გაცნობებთ, რომ ეს საკითხი განხილულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სამშენებლო ტრესტის № 8 „ჭიათურმარგანმშენის“ ხელმძღვანელობის თანდასწრებით და დასახულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მიღებულია ქმედითი ზომები მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებლად.



როცა გაანაწყენეს...

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის მაისი იწურებოდა. ᲓᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ სოფელ კიწიის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფა იყო გაჩაღებული. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. სოსელიას ფართობები დაიარა, ვანო წიფურიას ბრიგადამიც შეიხედა. აქ უფრო მეტხანს შეჩერდა თავმჯდომარე, რადგანაც შარმან ამ ბრიგადამ ვერ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება და შვიდ საწარმოო ბრიგადას შორის მეექვსე ადგილზე გამოვიდა. აქ ნაკრეფი ჩაის ფოთლიდან პირველი ხარისხისა მხოლოდ 54 პროცენტზე ცოტა მეტი იყო.

თავმჯდომარემ შენიშნა, რომ აქ წელსაც ცუდად იყო საქმე, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ხარისხს. მოაგონდა ისიც, რომ მეორე ბრიგადას, რომელსაც კომუნისტი ვ. წიფურია ედგა სათავეში, სიმინდის თესვაც არ ჰქონდა დაწყებული, აგრონომიული ვადები კი იწურებოდა. თავმჯდომარეს ხასიათი გაუფუჭდა, ბრიგადიერს უკმეხი სიტყვებით მიმართა და თან ავნობა — დღეიდან მოხსნილი ხართ...

საჯაროდ, კოლმეურნეების წინაშე, ჩაის პლანტაციაში მოხსნა ეწყინა ვ. წიფურიას და ეს, ალბათ, თავმჯდომარის მხრივ უტაქტობაც იყო. ნ ივნისს მოიწვიეს გამეორების სხდომა. სიტყვა „მოხსნა“ „განთავისუფლებით“ შეეცვალეს, მოტივად კი აი რა ჩაწერეს: „№ 2 ბრიგადის ბრიგადიერად მუშაობდა საშუალო სპეციალობის მქონე (ვ. წიფურია აბრეშუმეულობა) ვ. წიფურია, რომელმაც ვერ გაართვა თავი სამუშაოს. ბასილ წელს არ შეესრულებია ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა (ბრიგადის წლიური მაგალითებელი იყო 99,7 პროცენტი), ანალოგ დროს ხარისხობრივი მაჩვენებელი დაბალი ჰქონდა, იმ დროს, როდესაც კოლმეურნეობის პირველი ხარისხი 63 პროცენტი იყო, მას ჰქონდა 54,4 პროცენტი. მიმდინარე წელსაც ბრიგადაში ჩაიშალა მუშაობა. 26 მაისის მდგომარეობით სრულებით არ ჰქონდა დაწყებული თესვა, ცუდი მაჩვენებელი ჰქონდა ჩაის კრეფის საქმეში. ამის გამო 26 მაისს ადგილზე განთავისუფლებულ იქნა ბრიგადიერობიდან ვ. წიფურია, № 2 ბრიგადაში ბრიგადიერად აპეიყვანეთ ფალვა ეფრემის-ძე არზიანი, რომელსაც აქვს მუშაობის მოწინავე გამოცდილება“.

აქედან დაიწყო დავა. ყოფილმა ბრიგადირმა ვანო წიფურიამ საწერი რვეულის ექვსი ფურცელი ავსო კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. სოსელიას საწინააღმდეგო წერილით. იგი ჯერ რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში გაგზავნა, მერე „კომუნისტის“ რედაქციაში.

და აი რედაქციის დავალებით ვეგეგზავნეთ რაიონის სოფელ კიწიაში ჩავედით. პარტიის რაიონული კომიტეტის ამ ზონის ინსტრუქტორ ზ. კიკალიშვილთან ერთად შევუდექით ფაქტების შემოწმებას.

გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ კეთდება ჩაის პლანტაციების სანიმუშოდ მოყოლა-დამუშავებისათვის. ზოგჯერ ბუჩქების რიგთაშორისებს გათოხნის ნაცვლად მსუბუქად გამოხნავენ. იმის გამო, რომ კოლმეურნეობაში საკმაო რაოდენობით არა აქვთ საკანე ფართობი, წარმოებს სიმინდის ჩათესვა ახალგაზრდა ჩაის პლანტაციებში, რასაც მეითვლიან როგორც სამარცვლედ დათესილს. მაგრამ ზოგჯერ ასეთი ნათესები სრულიად არ იძლევიან იმას, რასაც მათგან მოელიან. ასეთია, მაგალითად, როგორც თვითონ თავმჯდომარემ დაადასტურა, ის პლანტაცია, რომელიც გაშენებულია კოლმეურნეა. გოგიას სახლის გვერდზე.

ვ. წიფურია ერთგან თავის წერილში ამბობს: გ. სოსელიამ სოფელში რამდენიმე ოდა-სახლი ააშენა და ზედმეტ ფასებში მიაყიდა კოლმეურნეობის ერთ ბარგატას, აგრეთვე ჭყონის სოფლოპერატივს. ეს ფაქტი ნაწილობრივ შეეფერება სინამდვილეს.

კოლმეურნეობის გამგეობა ხელგაშლილია საკოლმეურნეო თანხების ხარჯვაში. მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბერში კიწიის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის კომისიამ, რომელშიც თავმჯდომარე გ. სოსელიაც იყო, სამტრედიის რაიონში შეიძინა 5 სული ჯიმიანი მეწველი ძროხა ხბოებიანად და გადაიხადა 3.020 მანეთი. ეს ძროხა ბუღალტერულ ჩანაწერებში (ბუღალტერი იე. ინჯია) გატარებულია უბრალო ქალაქელებზე დაწერილი ისეთი აქტების მიხედვით, რომელთა ნაწილის ამოკითხვა ძნელია. ისინი არ არის დამოწმებული სანოტარო წესით, აქტებს არ ახლავს ვეტსამკურნალოს ცნობა შესყიდული პარუტკვის ჯანმრთელობის შესახებ. აქვე არ არის პირველი საკონტროლო წელის აქტი...

აქ უგულებელყოფილია სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის წინასწარ ადგილზე აწონა, რაც იქნებოდა ამის ერთი საშუალება, რომ კონტროლი გაეწიათ ჩასაბარებელი ხორცის წონისათვის.

კოლმეურნეობის კანტორაში 34 საზტატო ერთეულია. მათი ყოველთვიური ხელფასის ფონდი საკმაოდ მოზრდილ თანხას შეადგენს. აქ ქაცთ ფუზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, მას თვეში 60 მანეთი ეძლევა, ერთი ბუღალტერი, ორი მოანგარიშე, მოლარე-მოანგარიშე, ეკონომისტი. ფაქტები — ცხადყოფენ, რომ ამდენი მოანგარიშე არ ესაჭიროება ამ კოლმეურნეობას. სამაგიეროდ ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ბრიგადირებმა დროზე წარმოადგინონ კარგად შედგენილი პირველადი საბუღალტრო მასალები შესრულებულ სამუშაოებზე.

არის სხვა ნაკლოვანებანიც. რედაქციაში გაგზავნილი წერილის „მთავარი ცეცხლი“ მიმართულია იმ კაცისაკენ, რომელიც ბრიგადიერად დანიშნეს ვანო წიფურიას შემდეგ. ვინ არის ეს კაცი? როგორც თავში გავსულენეთ, გამგეობის სხდომის ოქმში მ. ე. არზიანი დასასელებულია ისეთ კაცად, რომელსაც აქვს „მუშაობის მოწინავე გამოცდილება“ (დაცვლილა ოქმის სტილი). ახლა ვნახოთ, მართლა ასეა თუ არა: „მეორე ბრიგადის ბრიგადირად დანიშნა მ. არზიანი. მართალია, იგი იყო პასუხისგებაში ნამყოფი, პარტიის რიგებიდან გარიცხული, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღო მხედველობაში, რომ იგი 1956 წლიდან 1966 წლამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში ბრიგადირად, ყოველგვარ გეგმებს ასრულებდა გადაჭარბებით, აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობას უნდოდა აღმზრდელობითი ზომების მიღება“,—ეს სიტყვები ეკუთვნით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. სოსელიას და პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანს ბ. ხარებავას. კაცმა რომ თქვას, არ არის ცუდი საქმე ადამიანი სიმრუდეს გადაჩვეო. ეს მისაბაძია და ყველა ჩვენგანის მოვალეობაც. მაგრამ ბრიგადირობა სოფელში—ეს სპეციალური პოსტია, და ეს საქმე მიანდო ისეთ კაცს, რომელმაც. ბოლო დროს თავი შეიცავინა—გაფლანგა სახელმწიფო ქონება, გარიცხეს პარტიის რიგებიდან, ორნახევარი წელიწადი იმყოფებოდა პატიმრობაში და ავტორიტეტი დაკარგა თანასოფლელთა თვალში, არავითარ შემთხვევაში არ არის სწორი.

ჩანს, გ. სოსელიაზე გავლენა მოახდინა იმანაც, რომ შ. არზიანი მის მეზობლად ცხოვრობდა (ახლა იგი სადღაც გადაიკარგა—28 სექტემბრიდან სოფელში არ არის. ამის მეტი მასზე ჯერ არაფერი იცანან).

შ. არზიანი კარგად მუშაობდაო... იქნებ ასეც იყო, მაგრამ ეტყობა ძალიან უყვარდა „ხელის მოთბობა“ სხვის ხარჯზე. ერთი პატარა მაგალითი: გ. წიფურიას მოითხოვეთ გავსინჯეთ შ. არზიანის მიერ ამა წლის ივნისში წარმოდგენილი უწყისი. ამ თვეში თითქოს თვითონ აუწონია 1.500 კილოგრამი მოკრეფილი ჩაი, მაშინ როდესაც მეორე ბრიგადას ქყავდა ორი მწონავი (ტ. ჩარიბაია და ლ. გულორდავა). ვითომ 7 ივნისს პირადად შ. არზიანს მობნევით დაუთესია 37.999 კვადრატული მეტრი ყანა, ხოლო მის ქალიშვილს — ნარეზას 32.580 მეტრი. იმავე დღეს ბრიგადირს საკუთარი ძმისთვის— ვ. არზიანისათვის — დაუწერია სიმინდის თესვა 41.000 კვადრატულ მეტრზე. და ასეთი „სამუშაოები“ ბუღალტერიამ უყოყმანოდ გაანაღდა. შ. არზიანის დაშვება არ შე

საერთაშორისო ცხოვრება

თანამშრომლობა მტკიცდება

პრაღა, 12 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის საგარეო-პოლიტიკური ამოცანაა განავითაროს თანამშრომლობა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, შექმნას სოციალიზმის ფუძეებლობის მუშიდობიანი პირობები, უზრუნველყოს ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტი, უშიშროება და ხელშეუვალობა, აგრეთვე ყოველნაირად შეუწყოს ხელი ერთობლივ ბრძოლას იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, მტკიცე მუშიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მთელ ქვეყნიერიზე.

ეს, როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ხელმძღვანელმა იუწყება, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. მარკოს. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. მარკოს ხაზი გაუსვა, რომ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო სუვერენიტეტის, უშიშროებისა და ხელშეუვალობის სრული უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ეს კავშირი, თქვა მან, აგრეთვე ბუნებრივ და საამედო ბაზას უქმნის ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომ პროგრესს. დღეს ჩვენ უნდა ვავითარებდეთ მიზანდასახულ ძმურ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის იმ განცხადების სულისკვეთებით, რომელსაც ხელი მოვაწერეთ სარ კავშირში ჩეხოსლოვაკიის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტის შედეგად. ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის კარდინალური საკითხია ნდობის აღდგენა და ტრადიციული ძმური ურთიერთობის განვითარება საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ჩვენი საზღვრების უშიშროება ამავე დროს სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიაც არის, თქვა შემდეგ ი. მარკოს. ამ მხრივ პრინციპული მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას ჩვენს ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნის შესახებ, ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და სოციალისტური სამყაროს უშიშროების მტკიცე გარანტიაა.

თავიანი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ი. მარკომ მიუძღვნა ევროპის უშიშროების საკითხებს. შეეხო რა სრულიად ევროპის თანბირის მოწვევას, მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების პრაღის თათბირს, რომელმაც შექმნა წინამძღვრები იმისათვის, რომ დაიწყოს დიალოგი ევროპის სახელმწიფოებს შორის დაბრკოლებანი, რომლებიც არსებობს სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის გზაზე, განაცხადა ი. მარკომ, გადაულახავი არ არის.

ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიების წევრმა დეპუტატებმა მოიწონეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. მარკოს განცხადება, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

ა. ა. გრეჩკო
კუბაში მაქმეზავრა

11 ნოემბერს მოსკოვიდან ჰავანაში გაეშგზავნა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო. იგი კუბის რესპუბლიკას ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ეწვევა კუბის რესპუბლიკის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის რაულ კასტრო რუსის მოწვევით. (საკდესი).

შეხვედრა საბჭოთა მწერალთან

თეირანი, 11 ნოემბერი. (საკდესი). საბამოთა კავშირ-ირანის მეგობრობის საზღვარ უფოდეს ირანელმა მწერლებმა, აგრეთვე თეირანის უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების, თეირანის ინტელიგენციის წარმომადგენლების შეხვედრას ცნობილ საბჭოთა მწერალთან ს. ვ. მიხალკოვთან.

შეიქმნა ახალი მთავრობა

ლონდონი, 11 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კანბერიდან გვატყობინებს, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯონ გორტონმა დღეს გამოაცხადა, რომ შეიქმნა ახალი მთავრობა. წინანდელი მთავრობა გადადგა პარლამენტის ამასწინანდელ არჩევნებთან დაკავშირებით, რომლის შედეგად ლიბერალური და აგრარული პარტიების მმართველმა კოალიციამ წარმომადგენელთა პალატაში მიიღო სულ შვიდი ადგილის უმრავლესობა.

ჯონ გორტონმა ავტომატურად დაიკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი მას შემდეგ, რაც იგი ხელახლა აირჩიეს ლიბერალური პარტიის ლიდერად.

ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა მაკმაგონი, რომელსაც მანამდე ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა.

ევროპის კოლექტიური უშიშროებისათვის

პარიზი, 12 ნოემბერი. (საკდესის კორ.). „მოვუწოდებთ ყველა ფრანგს მოითხოვოს ევროპის ქვეყნების უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა ომ წინადადების შესაბამისად, რომელიც ვარშავის პაქტის წევრმა ქვეყნებმა წამოაყენეს ბუდაპეშტის 17 მარტის სხდომაზე და 31 ოქტომბერს პრაღაში", განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა რაიმონ გიუიომ.

„ეს ინიციატივა,—თქვა შემდეგ რაიმონ გიუიომ,—შეესაბამება ევროპის კონტინენტზე მცხოვრებ ადამიანთა დიდი უმრავლესობის მისწრაფებას მშვიდობისადმი. სწორედ ამიტომ ამ ინიციატივას ესოდენ ცოცხლად გამოეხმაურა ყველა, დღეისათვის ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ბევრმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას. მოსკოვში ყოფნის დროს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შუმანმა აგრეთვე გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა ასეთი თათბირის მოწვევა".

„ფრანგი კომუნისტები — განაცხადა დასასრულ რაიმონ გიუიომ, — დაუცხრომლად იბრძოლებენ საფრანგეთის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის".

ინფორმაცია მხატვრის კომენტარით

სპეციალისტთა გადაბირება გრძელდება

ლონდონი, 12 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის ეკონომიკას დიდ ზარალს აყენებს მეცნიერთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების ემიგრაცია, რომელიც გრძელდება. გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსში" გამოქვეყნებული მონაცემებით, სპეციალისტთა ემიგრაცია ინგლისს ყოველწლიურად აყენებს 90 მილიონ გირვანქა სტერლინგ ზარალს. თუმცა ტექნიკის სამინისტროს არ გამოუქვეყნებია 1968 წლის საბოლოო მონაცემები სპეციალისტთა ემიგრაციის შესახებ, მაგრამ აქ მიაჩნიათ, რომ ზარალი მნიშვნელოვანი იყო.

შეერთებული შტატების სპეციალური ემისრები იბირებენ ინგლისელ სპეციალისტებს იმით, რომ სთავაზობენ უფრო დიდ ხელფასს და მუშაობის უკეთეს პირობებს, ვიდრე ინგლისში.

განსაკუთრებით დიდ შეშფოთებას იწვევს ინჟინერ-ტექნიკოს სპეციალისტთა დაკარგვა: 1967 წელს ემიგრაციაში წავიდა 5.800 ინჟინერი — ინგლისის უნივერსიტეტების 1964 წლის კურსდამთავრებულთა ნახევარი. 1967 წელს ინგლისიდან წავიდა 4.400 მეცნიერი.

ინგლისის დანაკარგი უფრო მეტი იქნებოდა, წერს გაზეთი, ასობით მეცნიერი მუშაკი და ინჟინერი რომ არ მუშაობდეს ინგლისის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკის მრავალრიცხოვან ლაბორატორიებში, რომლებიც ასრულებენ ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი კომპანიების შეკვეთებს.

ნახატი ი. ჟოჟიაშვილისა.

ჩაიფუშა „ვიეტნამიზაციის" გეგმა

ჰანოი, 11 ნოემბერი. (საკდესი). იფუშება ეგრეთ წოდებული ომის „ვიეტნამიზაციის" გეგმა, რომელსაც ამერიკის სარდლობა ცდილობდა მარიონეტული არმიის განმტკიცებისა და მისი ბრძოლისუნარიანობის გაზრდისათვის. როგორც განთავისუფლების პრესის სააგენტო იუწყება, სამშრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების რაზმებმა 2-5 ნოემბრის საბრძოლო ოპერაციების დროს ტეინგუენის რაიონში დახოცეს ან დაჭრეს საიგონის არმიის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩამოაგდეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების 14 თვითმფრინავი.

განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენეს ამ ბოლო დროს საიგონის არმიის მე-18 დივიზიას ტეინგუენის რაიონში და 21-ე მარიონეტულ დივიზიას ნამბოს ხეობაში.

საიგონის არმიის მზარდი ზარალის შედეგად სულ უფრო იზრდება მისი ჯარისკაცების დემორალიზაცია. როგორც განთავისუფლების პრესის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მარტო ივლის-სექტემბერში ნამბოს ხეობის დასავლეთ ნაწილში მოქმედი საიგონის ჯარებიდან გაიქცა 5.500-მდე სამხედრო მოსამსახურე.

ვაშინგტონი მოლოდინშია

ვაშინგტონი 11 ნოემბერი, საკდესის კორესპონდენტები ა. ველიკიანი და ჯ. ჩუსმეი გვატყობინებენ: ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის გარშემო 100 მილი რადიუსით განლაგებულმა სამხედრო ნაწილებმა ბრძანება მიიღეს მზად იყვნენ საბრძოლველად. „სიჩუმის შემთხვევაში" შესაძლოა ისინი დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ აქ ვაშინგტონში განლაგებული 28-ათასიანი ჯარის გასაძლიერებლად. ეს ღონისძიებანი განახორციელა პენტაგონმა ვიეტნამის ბინძური ომის წინააღმდეგ მასობრივ გამოსვლათა მოლოდინში, რომლებიც გათვალისწინებულია 13-15 ნოემბრისათვის.

სენატორ ფულბრაიტ მიმართავენ სხვა ღონისძიებებსაც, განაცხადა ამბეზავებმა დაძაბულობას, ქმნიან შიშის ატმოსფეროს. იუსტიციის სამინისტრომ აკრძალა დემონსტრაციების მოწყობა ვაშინგტონში პენსილვანიის აგენიუზე, სადაც თეთრი სახლია.

იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებამ გამოიწვია ამერიკის საზოგადოებრიობის გულისწყრომა. „ეს შეურაცხყოფს ყოველ ამერიკელს, რომელიც ილაშქრებს გამოუცხადებელი, არაპოპულარული და ამორალური ომის წინააღმდეგ, — განაცხადა სენატორმა ს. იანგმა. — იდეების ჩახშობა ხელკეტებით შეუძლებელია".

მაგრამ, მიუხედავად ხელისუფალთა ამ პროვოკაციული ფაციფუციისა, ომის საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლებისათვის მზადება გაჩაღებულია. მანიფესტაციის მხარდაჭერისა და 15 ნოემბერს ვაშინგტონში მიტინგზე გამოსვლის სურვილი გამოთქვეს სენატორებმა ი. მაკარტიმ, ჯ. მაკოვერნმა და ჩ. გუდელმა.

მოომაგალი არჩევნები კენიაში

ნაირობი, 12 ნოემბერი. (საკდესი). პირველად დამოუკიდებელი კენიის ისტორიაში საყოველთაო არჩევნები მოეწყობა 1969 წლის დეკემბერში. ეს განაცხადა კენიის პრეზიდენტმა ჯომო კენიატამ.

არჩევნები მოეწყობა ორ ეტაპად. პირველადი არჩევნები დანიშნულია 6 დეკემბერს. კანდიდატი, რომელიც პირველად არჩევნების დროს ხმის უმრავლესობას მოაგროვებს თავისი ოლქის ფარგლებში, ავტომატურად კენჭს იყრის საყოველთაო არჩევნებში, რომლებიც 20 დეკემბერს გაიმართება. ერთადერთი ოპოზიციური პარტია—კენიის ხალხის კავშირი ამას წინათ აკრძალეს, ხოლო მისი ხელმძღვანელები დაპატიმრეს. ამიტომ დეკემბრის არჩევნებში კენჭს იყრიან მხოლოდ კანდიდატები კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის მმართველი პარტიისაგან.

ამავე დროს 20 დეკემბერს კენიაში მოეწყობა პრეზიდენტის არჩევნები. ამ პოსტის ერთადერთი პრეტენდენტია კენიის სახელმწიფოს ახლანდელი მეთაური ჯომო კენიატა, რომლის კანდიდატურა დაასახელა მმართველმა პარტიამ.

კენია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა 1963 წლის 12 დეკემბერს.

ფაქტები

● სოფია, 12 ნოემბერი. (საკდესი). ქალაქ ბურგასის ივან ბოიადჟიევის სახელობის გემთსაშენებელ და გემთშეკეთებელ ქარხანაში წყალში ჩაუშვეს ტრალერი, რომელიც საბჭოთა კავშირის თევზსაჭერი ფლოტისათვის ააგეს. ამას იუწყება ბულგარეთის დეკეშათა სააგენტო. გემს აქვს დისტანციური მართვა და თანამედროვე სამაცივრო დანადგარი.

● ვაშინგტონი, 12 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა 69 ხმით მიიღო კანონპროექტი პენტაგონის სამხედრო ნაგებობათა მშენებლობისათვის 1,6 მილიარდი დოლარის ასიგნების შესახებ.

კანონპროექტი, რომელმაც უმნიშვნელო ცვლილებანი განიცადა სენატში, განსახილველად წარედგინება სენატისა და წარმომადგენელთა პალატის შემათანხმებელ კომისიას.

საერთაშორისო ფენომენები

ირლანდიას მოწყვეტილი ოლსტერი...

ქიდევ ერთი ცხელი წერტილი გაჩნდა ჩვენს პლანეტაზე. ტრაგედია, რომელიც გათამამდა ჩრდილოეთის სრუტის დასავლეთით აგვისტოს დამლევს, დიდსანს არ დაგვწყდება კაცობრიობის არსენალს დაიფარება წარსულის ფერფლით მოაყალჩირნახულ ჩრდილოეთირლანდიელებისათვის.

დახოცილთა და დაჭრილთა სისხლით შეიღება ლონდონდერის, ბელფასტისა და სხვა ქალაქების ქუჩები და მოედნები, ათეულობასობით უბრალონი უიმედოდ შეჰყურებენ ნაცარტუტად ქცეულ თავიანთ სახლებს. ოლსტერი ცეცხლის ალში გაეხვია.

ბევრჯერ აუწიოკებიათ ჩრდილოეთ ირლანდია, რომელიც რამდენიმე საუკუნეა დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს შემადგენელი ნაწილია. მღელვარება, რომელმაც ლონდონდერი და სხვა ქალაქები მოიცვა, გამოიწვიეს პროტესტანტმა ეკლესიმოსაგებმა მოფაშისტო მჭადგეკლის ი. პეისლის ხელმძღვანელობით და ადგილობრივი პოლიციის მსარდაჭერით. არასრული ცნობებით ბელფასტსა და ლონდონდერში დანგრეულია ექვსასამდე სახლი, ათი სკოლა, ათეული ტაბი საწარმო. ორმოცდაათი ათასზე მეტი კაცი უბინაოდ დარჩა და ასი ათასზე მეტი იძულებულია ბარიკადების გარემოცვაში იცხოვროს.

ინგლისის მმართველი წრეები ოლსტერის ტრაგედიას სახავენ პროტესტანტთა და კათოლიკთა შორის რელიგიურ ომად. მაგრამ ეს ასე როდია. მოვლენათა არსში რომ გავერკვეთ, საჭიროა მატიანე გადავფურცლოთ.

ოლსტერი კუნძულ ირლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი წარსული განუყრელად დაკავშირებულია მთელი ირლანდიელი ხალხის ისტორიასთან. ძველათ კუნძული დასახლებული იყო იბერიელთა და კელტთა ტომებით. ისინი მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. VIII-XI საუკუნეებში არაერთხელ მიხდომიან მათ ნორმანები. 1171 წელს კი ინგლისის მეფის ჰენრიხ II-ის არმია გადასხდა კუნძულზე და ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე XVII საუკუნის დასლევამდე, ინგლისის ჯარს არ შეუწყვეტია თავდასხმები მეზობელ ქვეყანაზე. ინგლისელებმა დაიპყრეს ნაყოფიერი მიწები და შეაგიწროვეს მკვიდრი ირლანდიელები, ტყეებში გაძევეს, მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც კი აუკრძალეს. მოსახლეობაში, რომელიც კათოლიკურ სარწმუნოებას მისდევს, ძალით ნერგავდნენ პროტესტანტულ რელიგიას.

ირლანდიელებმა მუხლებზე როდი დაიჩოქეს მომხდურთა წინაშე. მთელი XVIII-XIX საუკუნეები და XX საუკუნის დამდეგი ინგლისელ კოლონიზატორთა და ადგილობრივ მემამულეთა (ჯენტრი) წინააღმდეგ გამოსვლებისა და აჯანყების ხანგრძლივი პერიოდია.

აი დადგა 1921 წელი. ირლანდიელმა პატრიოტებმა დიდი დამარცხება აგვმეს ინგლისელ კოლონიზატორებს და ლონდონი აიძულეს დათმობაზე წასულიყო. ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულების თანახმად კუნძულის სამხრეთ ნაწილს დამოუკიდებლობა მიენიჭა და მას ეირეს რესპუბლიკა ეწოდა. ჩრდილოეთ ირლანდიის ექვსი საგრაფო, რომლებსაც ოლსტერი ჰქვია, ინგლისს მიეკუთვნა და შედიდა შეერთებულ სამეფოში, რომელიც მაშინ მსოფლიოს მეოთხეჯერ მოიცავდა. ასე „დაკანონდა" კუნძულის გაყოფა, ასე გაითიშა ირლანდიელი ხალხიც. მილიონნახევარი ირლანდიელი მოსწყდა თავის ძმებს და „თავისი სურვილით" ინგლისს „ეუერთდა", აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საუკუნეების მანძილზე ჩრდილოეთ ირლანდიაში თანდათან სახლდებოდნენ ინგლისელები, რომლებსაც დიდი უპირატესობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით.

დრომ ისე მოიტანა, რომ ნახევარი მილიონი კათოლიკე ირლანდიელი, რომელიც ფაქტიურად ჩრდილოეთ ირლანდიის მუშათა კლასის ძირითადი ბირთვია (რასაკვირველია, მუშათა კლასის რიგებშია პროტესტანტთა გარკვეული რაოდენობაც), ეკონომიურად მძიმე მდგომარეობას განიკდის. პოლიტიკურად კი მათ პროტესტანტ ირლანდიელებთან შედარებით, რომლებიც გაცილებით უკეთეს პირობებში ცხოვრობენ (ძირითადად ისინი არიან მთელი რიგ საწარმოთა მფლობელნი, ასე სწრაფად ფართოვდება ჩრდილოეთ ირლანდიაში, როგორია მისი პოლიტიკური არსი? იგი საერთო დემოკრატიული მოძრაობაა, რომელიც თავისი ხასიათით და ამოცანებით არ ისახავს რევოლუციურ მიზნებს — ცვლილებას სოციალურ წყობილებაში და ინგლისისაგან გამოცალკევებას. ეს მოძრაობა მოითხოვს საარჩევნო უფლებათა რეფორმას, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დისკრიმინაციის მოსპობას და მშრომელთა საარსებო პირობების გაუმჯობესებას. ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ხიუ მურის სიტყვით, ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ კომუნისტები, ლეიბორისტული, რესპუბლიკური და სხვა ოპოზიციური პარტიები.

ლონდონი დიდად შეაშფოთა ოლსტერის ამბებმა. ადგილობრივი მთავრობის თხოვნით წესრიგის დასამყარებლად იქ ჯერ გადაისროლეს პოლიციური სამსახურის მუშაკები, მაგრამ ისინი უძლური აღმოჩნდნენ სახალხო მრისხანების აბობოქრებული ტალღების დასაცხრობად... ოლსტერს ზღვიდან, ჰაერიდან მოეელინენ ადენში, კენიასა და მალაიზიაში „მონათლული" დიდი ბრიტანეთის კოლონიური ჯარები. ლონდონის გაზეთ „დეილი. მირორის" ცნობით, მათ მიიღეს ბრძანება „ამერიკიდან ესროლონ შეამბოხეთ", და ისინიც უმამობლად უმასპინძლდებოდნენ ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქების უღარიბეს მოსახლეობას. ოკუპანტთა ჩამოსვლის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ტყვიამფრქვევის ცეცხლს, კარაბინების სროლასა და ხანძარს დაემატა მომწამვლელი გაზი „სი-ესი", რომელსაც ამერიკელი ბარბაროსები ვიეტნამში იყენებენ.

ირლანდიის რესპუბლიკა გულგრილი როდი აღმოჩნდა ჩრდილოელი ძმების ბედისადმი. პრემიერ-მინისტრმა ლინჩმა დუბლინის ტელევიზიით გარკვევით განაცხადა, რომ აუცილებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შეყვანა ჩრდილოეთ ირლანდიაში, და ამასთან მოითხოვა, რომ ინგლისმა დაიწყოს მოლაპარაკება ჩრდილოეთ ირლანდიის კონსტიტუციის შეცვლის თაობაზე. ეს ფაქტორად ნიშნავდა მთელი ირლანდიის გაერთიანების აუცილებლობის აღიარებას. საგარეო საქმეთა მინისტრი ჰილერი ნიუ-იორკში გაფრინდა, რომ მოეწვიათ უშიშროების საბჭო ოლსტერის საკითხის განსახილველად. მაგრამ ეს ჩაშალა დიდმა ბრიტანეთმა. ასევე ჩაფუშა ლონდონმა ამ პრობლემის განხილვის წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე.

ირლანდიის რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში მოეწყო ინგლისის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. — ჩვენ, მოვითხოვთ იარაღს, — აცხადებენ დემონსტრანტები, — რომ თანამემამულეთა დასახმარებლად წავიდეთ ოლსტერში.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის განსაკუთრებულ შეშფოთებას ბობოქარი ოლსტერის გამო ისიც ადასტურებს, რომ იქ უმაღლეს სამხედრო პირებთან ერთად იყვნენ დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენი. და თავდაცვის მინისტრი დ. პიერი, მაგრამ მათ იქ ყოფნას სინამდვილეში ეს პრობლემა ოდნავადაც არ მოუწყვლიგებია. ქალაქზე დარჩა კალაგენის ბელფასტში ყოფნის დროს მიღებული კომუნიკე, რომელიც ითვალისწინებდა ოლსტერის ყველა მცხოვრებისათვის, მიუხედავად რელიგიური რწმენისა, თანაბარი უფლებების მინიჭებას, სახელმწიფო ბინების სამართლიან განაწილებას, საარჩევნო კანონის რეფორმის გზით რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლობას მმართველობის ორგანოებში და სხვ. ჩრდილოეთ ირლანდიის მდგომარეობა განიხილა ლეიბორისტული პარტიის კონფერენციამ ბრიტანეთში.

რაც შეეხება ლეიბორისტული მთავრობის მეთაურს ვილსონს, ოლსტერის ამბებთან დაკავშირებით მან შეწყვიტა შვებულება, სილის კუნძულებზე რომ ატარებდა, და ისტ-რივერზე აღმართული ცათამბჯენის გასაგონად ტემზის ნაპირებიდან ხმამაღლა წარმოთქვა: ჩრდილოეთ ირლანდიის ამბები დიდი ბრიტანეთის „საშინაო საქმეაო". ამ დროს კი ინგლისელი მშრომელები პიკადილის მოედნიდან სოლიდარობის ხმას აწვდიდნენ ბარიკადებთან მდგომ ბელფასტის, ლონდონდერის და სხვა ქალაქების პატრიოტებს. დიდი ბრიტანეთის, ჩრდილოეთ ირლანდიის კომპარტიებისა და ირლანდიის მუშათა პარტიის ხელმძღვანელთა ლონდონის შეხვედრის შედეგად მიღებულ ერთობლივ განცხადებაში ოლსტერის დრამატული ამბებისათვის ბრალი დასდეს უნიონისტურ პარტიას და მოითხოვეს, რომ ინგლისის მთავრობამ უზრუნველყოს ყველასათვის თანაბარი სამოქალაქო უფლებანი. ინგლისის იმპერიალიზმი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პროტესტანტებმა და კათოლიკეებმა საერთო ენა ვერ გამონახონ, ვინაიდან ეს საფრთხეს შეუქმნიდა ინგლისის გავლენას ჩრდილოეთ ირლანდიაში. ლეიბორისტული მთავრობა არ ფლობს ხავსმოდებულ კოლონიურ პოლიტიკას — „ბოთმე და იბატონე" ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ყველა იმ ალტერნატივიდან, რომლის გამოყენება შეიძლებოდა, დაუნინგ-სტრიტმა არჩია უხეში ძალა — 9 ათასი ოკუპანტი შეუსია ოლსტერს და, დენის ჰილის სიტყვით, ეს საგრძნობი რაოდენობის არმია 1970 წლის გაზაფხულამდე დარჩება იქ.

დღეს ირლანდიელი მშობლიური ციცაბო კლდეებივით, რომელსაც დროდადრო ეხეთქებიან ბრიტანეთის ნაპირებიდან აზვირთებული ოკეანის გაშმაგებული ტალღები, და იმორგებს შესანიშნავი ირლანდიელი მწერლის და პატრიოტის შონ ო'კ�ის ბერის გულმხურვალე სიტყვებს: „ჩვენ ვიბრძვით, ჩვენ ვიჩანჯებით, და ვიხოცებით, მაგრამ ჩვენ ვიბრძვით".

ბ. ბალანდაძე.

გენერალურ ასამბლეაში

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი). გენერალურმა ასამბლეამ დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის განხილვა. განხილვის დამთავრების შემდეგ კენჭი უყარეს რეზოლუციათა ორ პროექტს. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ჩანკაიშელის გაძევებას იქიდან, შეიტანეს 17 ქვეყნის დელეგაციებმა. ავტორები რეზოლუციის მეორე პროექტისა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ფაქტიურად ართმევს შესაძლებლობას კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, არიან ამერიკის შეერთებული შტატები და მასთან მომხრე მთელი რიგი ქვეყნები.

ხმის უმრავლესობით (ხმა მისცა 71 დელეგაციამ, წინააღმდეგ — 48 დელეგაციამ, ოთხმა თავი შეიკავა) გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა, დასავლეთის ქვეყნების მიერ შეტანილი რეზოლუცია. 17 ქვეყნის რეზოლუციის პროექტმა მიიღო 48 ხმა, წინააღმდეგ — 56, 21 დელეგაციამ თავი შეიკავა.

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ხმის უმრავლესობით შეიტანა 24-ე სესიის დღის წესრიგში საკითხი, რომ „საჭიროა ბოლო მოეღოს კორეის გაერთიანების საკითხის განხილვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში". ეს წინადადება წამოაყენეს 18 სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნის დელეგაციებმა.

მემფისი გაანაგრძობს ბრძოლას

ნიუ იორკი, 12 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ე. ბასკოვი იუწყება: ორ ნახევარ ათასამდე კაცმა — უმთავრესად ზანგებმა — მიიღო მონაწილეობა ახალ საპროტესტო მარშში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ეს მარში გუშინ გაიმართა ქალაქ მემფისში (ტენესის შტატი). დემონსტრანტები გამოვიდნენ, რათა მხარი დაეჭირათ ადგილობრივი საკანონმყოფოს გაფიცული პერსონალის მოთხოვნისათვის ხელფასის მომატების შესახებ, აგრეთვე მოითხოვეს, რომ ზანგი მოსახლეობის წარმომადგენლები შეიყვანონ ქალაქის განათლების საბჭოს შემადგენლობაში.

„ჩვენ გვინდა პური და სამართლიანი ხელფასი, ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას, რომელიც მარშან დაიწყო მარტინ ლუთერ კინგმა, მემფისში რომ დაიღუპა რასისტთა ტყვიით", — განაცხადა ქალაქის საბჭოს შენობასთან გამართულ მასობრივ მიტინგზე ზანგთა ორგანიზაციის „სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციის" ხელმძღვანელმა რალფ აბერნეტიმ. აბერნეტი პოლიციამ დააპატიმრა. ამგვარი საპროტესტო მარშის დროს, რომელიც 10 ნოემბერს გაიმართა მემფისში, მაგრამ გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც გადაიხადა ჯარიმა „წესრიგის დარღვევისათვის".

მემფისში ზანგთა ორგანიზაციების კოალიციის ხელმძღვანელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ქალაქის საწარმოებს, სადაც ხელისუფალნი არ დააკმაყოფილებენ ზანგთა მოთხოვნებს.

კულტურული ცხოვრება

„ხოვანშჩინა" ჩიკაგოში

ჩიკაგოში წარმატებით დადგეს მ. მუსორგსკის ოპერა „ხოვანშჩინა", რომლითაც ადგილობრივმა „ლირიკულმა ოპერამ" ახალი სეზონი გახსნა. დოსიფეის როლი შეასრულა ამერიკაში მიწვეულმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა ბ. შტოკოლოვმა. მუსიკალურმა კრიტიკოსებმა მადალი შეფასება მისცეს მის ოსტატობას.

„ხოვანშჩინაში" მონაწილეობდა მომღერალთა მსოფლიო თანავარსკვლავედი. მსმენელთა წინაშე წარსდგნენ ბულგარელი მომღერლები ნ. გიაუროვი და ლ. ბოდუროვი, იუგოსლავიელი მომღერალი ჭალი პოსტონოვ-ბალდინი და ინგლისელი გ. ტეიარდი. „ხოვანშჩინის" დადგმა განახორციელა „ლა სკალას" რეჟისორმა ნიკოლა პენუამ, ოპერა შესრულდა რუსულ ენაზე.

კასიუს კლეი — მსახიობი

მსოფლიოს ჩემპიონმა კრივში კასიუს კლეიმ, რომელსაც ეს ტიტული ამერიკელმა რასისტებმა ჩამოართვეს ომის საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის, ახალ საქმეს მოჰკიდა ხელი. მან მსახიობობა გადაწყვიტა და ახლა რეპეტიციებს გადის პიესა „ბაკ უაიტი" მთავარი როლის შესასრულებლად. ამ სპექტაკლის პრემიერა გაიმართება დეკემბრის დასაწყისში ნიუ-იორკში, ბროდვეის ერთ-ერთ თეატრში, „ბაკ უაიტი" ოსკარ ბრაუნის მუსიკალური პიესაა ზანგი ხალხის ბრძოლის შესახებ. კლეი შეასრულებს მებრძოლი ზანგი ხელმძღვანელის როლს. პიესის მსვლელობაში კლეი მღერის რამდენიმე ცნობილ ზანგურ საპროტესტო სიმღერას, მათ შორის — „ჩვენ ბორკილდადებული ვოვედით", „შავი ბურთი" და სხვ.

პრესის წარმომადგენლებთან ინტერვიუში კლეიმ განაცხადა, რომ განზრახული აქვს მსახიობობა, მაგრამ არა სურს „ვარსკვლავი" გახდეს, და რომ მას არ ხიბლავს სარეკლამო ხმაური. მას ადრეც სთავაზობდნენ როლებს პიესებსა და ფილმებში, მაგრამ მათი უმრავლესობა ამორალური იყო, და კლეიც ყოველთვის უარს ამბობდა.

ლონდონის კინოფესტივალის წინ

იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ლონდონის მე-18 კინოფესტივალში (17 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე), არიან საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია. საბჭოთა კავშირი ფესტივალზე წარადგენს რეჟისორ კონჩალოვსკის ფილმს „აზნაურულ ბუდეს".

კინოფესტივალის მონაწილე 18 ქვეყნიდან წარდგენილი იქნება სულ 27 მხატვრული და მრავალი მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ფესტივალზე ნაჩვენები იქნება აგრეთვე ის ფილმები, რომლებმაც მიმდინარე წელს კრემიერი დიპლომატურეს მოსკოვის, ვენეციის, კანის, ბერლინის, პუელოს, აკადემიკოს, სან-სებასტიანის კინოფესტივალებზე.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, ხუთშაბათი, 18 ნოემბერი, 1969 წ.

SOWJETISCHE KULTURTAGE

TAGE DER KULTUR DER Georgischen SSR IN DER DDR 1.–10.11.1969

წარუშლელი კვალი

ასეთია გერმანელ მეგობართა აზრი

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს სსრ კულტურის დღეების მონაწილეთა დიდმა ჯგუფმა გვირგვინებით შეაკო უცნობი სბ ჯოთა მეომრის მემორიალი ბერლინ-ტრეპტოვ-პარკში.

ფოტო ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილებისა და ცენტრალბილდისა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმატებით ჩაიარა ქართული კულტურის დღეებმა. ახლა შეგვიძლია გულდაჯერებით ვთქვათ, რომ ამ 10 დღემ აღფრთოვანა ყველა, ვინც უშუალოდ არ იცნობდა ქართველი ხალხის ხელოვნებას, დიდი სიხარული მიანიჭა იმათ, ვისაც დიდი სანია უყვარს საქართველოს ძველი, თავისთავადი ხელოვნება, ვინც მისი აქტიური პროპაგანდისტია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საქდესის სპეციალურმა კორესპონდენტმა ლ. ბაბუამ სთხოვა ქართველი ხალხის ხელოვნების ზოგიერთ ძველ მეგობარსა და ახალ თაყვანისმცემელს გაეზიარებინათ თავიანთი აზრი დეკადის შესახებ.

ალფრედ კურელა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნებათა აკადემიის თავმჯდომარე, მწერალი:

— რატომ კურელა? კურელაშვილი ვარ! განა ჯერ არ იცით, როგორ მომნათლეს გერმანელმა ამხანაგებმა? — თქვა მან.

გამოვთქვა აზრი ქართულ კულტურასთან 10 დღის ნაცნობობის შესახებ — ჩემთვის ეს არასწორად დასმული საკითხია. უკვე 30 წელზე მეტია მიყვარს ნიჭიერი ქართველი ხალხის კულტურა. პირველად საქართველოს მთებში სულ ჭაბუკ ალპინისტად მივედი, ეგზოტიკასა და თავგადასავალს ვეძებდი.

თქვენი ქვეყნის სილამაზემ, იქ მცხოვრებმა ხალხმა საქართველოს მუდმივი სტუმარი გამხადეს. თქვენს მიწაში ჩემი გულის ნაწილიც დარჩა — იქ სამუდამოდ განისვენებს ჩემი საყვარელი მეუღლე. თუმცა, მისი სიკვდილის ამბავი, რომელიც მოთხრობის სიუჟეტად გამოიყენა ნიჭიერმა მწერალმა გ. რჩეულიშვილმა, ბევრმა კარგად იცის.

ჩემი გულის მეორე ნაწილს გიძღვნით თქვენ, ქართველებს. მე, როგორც „ძველი ქართველი“ გამაყოს იმით, რომ თანამოაზრენი შემომმატნენ, რომ ახლა აქ ასობით და ათასობით ახალი მეგობარი შევიძინეთ, რომლებიც ამბობენ, ქართველი ხალხის კულტურა, ხელოვნება ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე და დიდად განვითარებული ხელოვნებაა.

ჩვენულებრივ ასეთი ნაცნობობა ხდება იმის საწინდარი, რომ წარმოიშვას დიდი მეგობრობა, რომელსაც სულითა და გულით მივესალმები.

ელენ შაინბელი, ბერტოლდ ბრეხტის მეუღლე და მეგობარი, ბრეხტის თეატრის „ბერლინერ-ანსამბლის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:

— საქართველოში არ ვყოფილვარ, თქვა მან, მაგრამ როგორც ბევრ სხვას, მეც ძალიან ბევრი რამ მსმენია მის შესახებ, მის ხალხზე, თეატრალურ ხელოვნებაზე, რომლის სათავეები უკავშირდება შორეულ წარსულს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ შევიტყვე თქვენს თეატრალურ ხელოვნებაზე. ვიცი, რომ ბრეხტის დრამატურგია მეტად პოპულარულია თქვენს რესპუბლიკაში და შეუყვარდა ქართველ ხალხს. გადავწყვიტე, ჩემს კოლექტივთან ერთად გეწვიოთ თბილისში. ამავე დროს მინდა, რომ ჩვენს „ბერლინერ-ანსამბლის“ თეატრში გამოვიდეს თქვენი რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელსაც ზაქარიაძე ხელმძღვანელობს.

დღეს მე შევხვდი ვერიკო ანჯაფარიძეს. ბევრი რამ მსმენია ამ შესანიშნავ მსახიობზე, ვიცანი კიდევაც ფოტოსურათების მისწედვით. იმ მეგობრულმა საუბრებმა კი, რომლებიც ჩვენს შორის გაიმართა, კიდევ უფრო განმმტკიცა მისწრაფება ვესტუმრო საქართველოს, რომელსაც პოეტები ედგმს ადარებენ. ჯერჯერობით კი შემიძლია ვთქვა, რომ თქვენმა მსახიობებმა — როგორც პროფესიონალმა, ისე თვითმოქმედმა — მომხიბლეს შესრულებაში ჩაქსოვილი ღრმა გრძნობებით.

გიუნტერ შნაიდერი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის გეოლოგიის პროფესორი:

— მე არა მაქვს „ქართველის“ ისეთი დიდი სტაჟი, როგორიც ჩვენს კურელაშვილს, მაგრამ ქართველი ხალხის, მისი მეცნიერების დიდ მეგობრად ვთვლი თავს. საქართველოში რამდენჯერმე ვყოფილვარ და ჩემი კოლეგების დასმარებით, რომლებსაც კარგად ვიცნობ, და უწინარეს ყოვლისა თბილისის უნივერსიტეტის რექტორის, დიდი მეცნიერის ილია ვეკუას, ჩვენი დღევანდელი სტუმრების პროფესორების ს. ჯორბენაძის, შ. ძიძიგურის, შ. რევიშვილის, ზ. ჭარხალაშვილისა და თბილისის უნივერსიტეტის სხვა მასწავლებლების დახმარებით შევძელი ახლოს გაგცნობოდი თქვენი რესპუბლიკის მეცნიერებას, მეცნიერთა კადრების მომზადებას.

ჩვენი უნივერსიტეტების მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებამ დიდი სარგებლობა მოუტანა ორივე უმაღლეს სასწავლებელს. ეს მარტოოდენ ხელშეკრულება როდი. ეს არის ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობა და მოსარული ვართ, რომ ბევრი რამ შეგვიძია ვისწავლოთ ქართველ მეცნიერთაგან.

ამ დღეებში, როცა აქ თქვენმა კულტურამ და მეცნიერებამ დემოკრატიული გერმანიის ათასობით მცხოვრები მოხიბლა, როცა მეცნიერებმა ბევრი საინტერესო ლექციაა წაგვიკითხეს, გაგვაცნეს საქართველოს მეცნიერება, გვიამბეს, რომ უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვით ყოველ ათას სულ მოსახლეზე თქვენს რესპუბლიკას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში, ჩვენი კოლექტივი ორმაგად უფრო ამაყობს, რომ დაამყარა თბილისის უნივერსიტეტთან ასეთი მჭიდრო კონტაქტი, რომელიც ყოველდღიურად მტკიცდება.

ირმან შეშერსი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი:

— ალბათ დღეს მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც არ იცნობდნენ თქვენს დიდ პოეტსა და მოაზროვნეს შოთა რუსთაველს, რომელმაც მსოფლიო ევოლიუციის გარიჟრაჟზე უმღერა კაცობრიობის ყველაზე ძვირფას გრძნობებს.

თქვენი ლიტერატურა ძველია, მაგრამ იგი ასლებურად აყვავდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში და აღზარდა გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების ახალი პლეადა.

სამწუხაროდ, ბევრი მათგანის ნაწარმოებები არ წამიკითხავს, მაგრამ გამოჩენილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების გაცნობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ეს არის მოწინავე ლიტერატურა, რომელიც ცხოვრობს ხალხის ინტერესებით და უმღერის მის სულიერ და ზნეობრივ სილამაზეს.

დიდი კმაყოფილებით წავიკითხე კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის ცისკარი“, რომელიც თარგმნილია გერმანულად და დიდი წარმატება ხვდა წილად. უდავოა, რომ კ. ლორთქიფანიძე დიდი ოსტატია. ჩვენ შეგვიყვარდა აგრეთვე ქართველი მწერლების იოსებ ნონეშვილის, ხუტა ბერულავას, ედიშერ ყიფიანის, რომლებიც ახლა სტუმრად იყვნენ ჩვენთან, აგრეთვე სხვა პოეტებისა და მწერლების გერმანულ ენაზე თარგმნილი ნაწარმოებები.

მომავალ წელს ბერლინში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამომცემლობაში გამოვა ქართული პოეზიისა და პროზის ანთოლოგია. ცალკე წიგნებად გამოვა ქართველი ავტორების ბევრი ნაწარმოები. ეჭვი არ არის, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ორი მწერლობის უფრო დიდ დაახლოებას.

ქართული კულტურის დღეები ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მკაფიო დემონსტრაცია იყო. ამ მოვლენის ერთ-ერთი საინტერესო მომენტები იყო თქვენი და ჩვენი მწერლების შეხვედრები. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა უფრო მეტი პოპულარიზაცია გავუწიოთ თქვენს ლიტერატურას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

გიუნტერ ბელმანი, ჟურნალისტი, ბერლინის საღამოს გაზეთის რეპორტიორი:

— ქართული კულტურის დღეები დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბერლინის ცხოვრებაში. ეს ჩვენ, ჟურნალისტებს, ბევრ რამეს გვაჯალებს. რეგულარულად ვაკნობდით მკითხველებს ამ შესანიშნავი ხალხის ცხოვრებას, ისტორიასა და ყოფას, კულტურასა და მეცნიერებას მას შემდეგ, რაც ჩვენი კულტურის დღეები მოეწყო თქვენში.

17 ჟურნალისტი, რომლებიც მაშინ საქართველოში იყვნენ, დაწერილებით აღწერდა გერმანული კულტურის დეკადის მიმდინარეობას, გულითად შეხვედრებს საქართველოს მიწაზე. მკითხველებისაგან ასობით წერილი მივიღეთ შეკითხვებით. ბევრმა ჩვენმა ხელისმოწერმა ჩვენი საშუალებით მიმოწერა გააჩაღა ქართველ კოლეგებთან.

ამ დღეებში, როცა აქ თქვენი დეკადა მიმდინარეობდა, ვფიქრობ, გერმანელმა ჟურნალისტებმა „ამოწურეს“ ეპითეტებისა და სტატიები გამოთქმების მთელი თავიანთი მარაგი.

რა თქმა უნდა, ისინი წერდნენ მთელი გულით, და თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ, რომ მათ ყველაზე მაღალი შეფასება მისცეს თქვენს ხელოვნებას, თქვენს მეცნიერებას.

მე ერთხელ ვიყავი საქართველოში ტურისტად, და თუმცა გამომყვა ყველაზე საუკეთესო წარმოდგენა ქართველების სტუმარ-მასპინძლობასა და გულითადობაზე, მაგრამ ნაკლებად ვიცნობდი თქვენი ხალხის კულტურას.

რაც აქ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ქართული კულტურის დღეების დროს ვნახე, ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. დარწმუნებული ვარ, რომ ორი კულტურის ამ შეხვედრამ თვისობრივად ახალი ინტონაციებით გაამდიდრა თანამედროვე გერმანული სოციალისტური კულტურა.

ჰორსტ დომაკელა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის მეორე მდივანი:

— როცა ქართულ თანამედროვე და ხალხურ მუსიკას უსმენ, რომელსაც უძველეს დროში შეუქმნია „სანტო დამწერლობა“, არ შეიძლება არ გაგახსოვდეს ძველისა და ახლის იმ სინთეზმა, რომელიც სამწუხაროდ, მსოფლიოს ბევრი ხალხის თანამედროვე მუსიკამ დაკარგა.

ხალხის ტრადიციებზე შექმნილმა თანამედროვე ქართულმა მუსიკამ, რომელიც აღსავსეა მელოდიითა და ჰარმონიით, მოხიბლა გერმანელები. სწორედ ამიტომ იყო ასეთი დიდი წარმატებით რომ სარგებლობდა თქვენი შესანიშნავი კომპოზიტორების ა. ბალანჩივაძის, ო. თაქთაქიშვილის, გ. ყანჩელისა და მათი სხვა თანამედროვე კოლეგების აქ შესრულებული ნაწარმოებები.

მაგრამ ჩვენი მაყურებლებისა და სპეციალისტების ყველაზე დიდი აღტაცება გამოიწვია ხალხურმა პოლიფონიამ.

მთელი სულითა და გულით ვხარობდით თქვენი ხალისიანი საესტრადო მუსიკითაც.

ჰანს როდენბერგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს უდიდესი სიხარული მიანიჭა ქართულ კულტურასთან შეხვედრამ, რომელიც ფართოდ იყო წარმოდგენილი ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა დარგით.

დიდი ოქტომბრის შედეგად განთავისუფლებული ხალხის ხელოვნების თესლი აღმოცენდა მალლან, საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ნიადაგში. აღმოსაცენი კი, როგორც ამაში თვალნათლივ დავრწმუნდით, ძალიან კარგი გამოდგა. მე, როგორც პარტიის ძველ წევრს, რომლის თვალწინაც ჩაიარა კაცობრიობის ისტორიის ყველაზე დიდმნიშვნელოვანმა მონაკვეთმა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან დღემდე, მსურს განვაცხადო, რომ მისი ყველაზე საუკეთესო მონაპოვარი გახდა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული სსრ კავშირის ხალხთა კულტურების განვითარება. ლენინური ეროვნული პოლიტიკის თვალსაჩინო დადასტურებაა მაგალითი თქვენი რესპუბლიკისა, რომელიც ასეთ უმაგალითო წარმატებებს აღწევს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ვფიქრობ, რომ თქვენი ხელოვნება ჩვენთვის სწორედ „გამამხნევებელი მუხტი“ იყო, რომელიც ხელს შეუწყობს ორი მომძე კულტურის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს სსრ კულტურის დღეების ფინიში წარმატებითი იყო, ხოლო საქართველოს წარმომადგენლები უკვე გაფრინდნენ სამშობლოში, ბერლინის დღევანდელი გაზეთები ბევრ ადგილს უთმობენ ნაამბობს ქართული ხელოვნებისა და კულტურის, იმ კოლექტივების შესახებ, რომლებიც აქ დარჩნენ და განაგრძობენ გახტროლებს.

ბერლინი,
1969 წლის 12 ნოემბერი.

ბერლინი. აქ მოეწყო ქართული სამზარეულოს გამოფენა-დათვალიერება. გდრ-ის კულტურის მინისტრი კლაუს გიზი და ქართველი მზარეული ივანე ჩიხრაძე მეგობრული სადღეგრძელოებით მიმართავენ ერთმანეთს.

ქართველი კინო-მსახიობი ლია ელიავა ეწვია ბერლინის ცნობილ ზოოპარკს, სადაც მას უჩვენეს ამ კვირის ლეოპარდი.

ფოტო ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილებისა და ცენტრალბილდისა.

„ფიორენტინა“ კიევის მოედანზე

გუშინ კიევის ცენტრალური სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაემართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ერთ-ერთი მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში კიევის „დინამოსა“ და იტალიის „ფიორენტინას“ გუნდებს შორის.

ბრძოლა მიმზიდველი გამოდგა, ორივე გუნდმა აჩვენა ტემპიანი და შეუპოვარი ბრძოლა. ანგარიში პირველი ტაიმის 35-ე წუთზე ამარილდოს ჩინებული გადაცემით გახსნა ჩიარუჯიმ. დინამოელთა კონტრიერიშებს შედეგი არ მოჰყოლია, სტუმრებმა პირველი ტაიმი მოიგეს 1:0.

მეორე ნახევრის დასაწყისში კიეველები აქტიურად მოქმედებდნენ და 57-ე წუთზე წონასწორობა აღადგინეს. გოლის ავტორი იყო სერებრიანსკოვი. მაგრამ 8 წუთის შემდეგ მარაჩიმ წინ გაიყვანა თავისი გუნდი.

განსაკუთრებით მწვავე იყო ბოლო წუთები. ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის შეცვლის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ უშედეგოდ. გამამარჯვეს იტალიელებმა ანგარიშით 2:1.

ლიდერები

დასასრულს უახლოვდება საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. კვლავ წარმატებით გამოდის ვანის „სულერი“, რომელსაც 37 თამაშიდან 49 ქულა აქვს. ამდენივე თამაშიდან წალენჯიხის „ოლმეურნეს“ 45 ქულა აქვს.

26 ქომისრის მეომრიალი

გუშინ ბაქოში ლენინის სახელობის სტადიონზე დამთავრდა დიდი საერთაშორისო ასპარეზობა ძალოსნობაში 26 კომისრის ხსოვნის აღსანიშნავად. გარდა საბჭოთა სპორტსმენებისა ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს უნგრეთის, ერაყის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსნებმა.

საინტერესო გამოდგა სპრინტერ ვაეთა ასპარეზობა. სამმა სპორტსმენმა 100 მეტრზე რბენაში აჩვენა თანაბარი დრო — 10,4 წამი. გამარჯვება ხვდა ერაყის არმიის ოფიცერს სამილ-ალ-ჩახბუს. 1.500 მეტრზე რბენაში ტოლი არ ჰყავდა საბჭოთა სპორტსმენს ვ. ბრინდეკოვ. მან აჩვენა დრო — 3 წუთი და 49,6 წამი. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ბაქოელმა ნ. ბრინცევამ — 1 მეტრი და 75 სანტიმეტრი. სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ვ. ლისენკომ — 7 მეტრი და 62 სანტიმეტრი. 400 მეტრზე რბენაში ვაეთა შორის პირველი იყო ბ. სავჩუკი — 48,2 წამი.

შეჯიბრების სტარტზე დაიბადა პირველი რეკორდი. ეს მოხდა 110 მეტრზე თარჯრბენში. ბაქოელმა გენადი ლისინმა აჩვენა დრო 14,2 წამი და აზერბაიჯანის ახალი რეკორდი დაამყარა. 400 მეტრზე რბენაში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ყირგიზეთის წარმომადგენელმა ჯალენტინა ჩიჩოევამ, რომელმაც ეს მანძილი დაფარა 57,5 წამში.

ასპარეზოგათა კალენდარი

● **თბილისში** გრძელდება რესპუბლიკური ჩემპიონატი ფარიკაობაში. მონაწილეობენ თბილისის, აბარის, აფხაზეთის, ქუთაისის, რუსთავისა და ზესტაფონის გუნდები. დღნმით ასპარეზობაში წარმატება თბილისელ ი. აივაზოვს ხვდა. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ხ. ცქეტაშვილმა და რ. ლომინაძემ.

● **ხარკოვში** დაიწყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი ასუჯრედიან შაშში. მონაწილეობენ გამოჩენილი გროსმაისტერები და ოსტატები — შოგოლევი, განტვარგი, აგაფონოვი, ეგოროვი და სხვები. შეჯიბრებაში გამარჯვებული კუპერმანთან ერთად დაშვებული იქნება მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში.

სჯაჭორაკი ტურნირები

მიმდინარე წლის ყველაზე დიდი ასპარეზობები ჭადრაკში — მსოფლიო და საკავშირო ჩემპიონატები როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ამოიწურა. წინ არის მეტად მნიშვნელოვანი ტურნირები, რომლებშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა გროსმაისტერები.

ერთ-ერთ ასეთ ასპარეზობას წარმოადგენს მომდინარე წლის მალიორკის ტურნირი, სადაც საბჭოთა კავშირიდან გამოვლენ სპასკი, პეტროსიანი და კორჩნოი. არანაკლებ საინტერესოა ბელგრადის ტურნირი. აქ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები იქნებიან ბოტვინიკი და პოლუგაევსკი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი მონაწილეობას მიიღებს ჰასტინგსის ტრადიციულ ტურნირში.

ბაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებო!

გრძელდება ხელმოწერა ჩვენს გაზეთზე 1970 წლისათვის

ხელმოწერა შეიძლება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, საკენტოებსა და ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან, აგრეთვე კავშირგაბმულობის განყოფილებებში.

„კომუნისტზე“ ხელმოწერა მიიღება ყველგან, სრულიად შეუზღუდველად

ხელის მოწერის ფასი:

1 წლით	6 მან.
ნახევარი წლით	3 მან.
3 თვით	1 მან. 50 კაპ.
1 თვით	50 კაპ.

ამინდი ჩვენს ქვეყანაში

ძლიერი გრიგალები

უმაღალითო ძალის გრიგალი მძვინვარებდა სამხრეთში. შორეული აღმოსავლეთის ტაიფუნის მსგავსმა მრისხანე ქარიშხალმა ბევრი უბედურება გამოიწვია უკრაინაში, ჩრდილოეთ მოლდავეთში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში. ოთხმოტრიანმა ზვირთმა გადალახა აზოვის ზღვის სანაპირო თემრიუკთან, წალეკა დაბები ჩაიკინო, პერეკოპკა, ზამოსტი. ადიდდა სწრაფი მდინარე ყუბანი, შეუკავებელ ნაკადად გადავარდა თემრიუკის გარუბნის ქუჩებში. ასეთი სტიქიური უბედურება აქ არავის ახსოვს.

ყველგან გაჩაღებულია აღდგენითი სამუშაოები, სპობენ მძვინვარე შტორმის ნაკვალევს, აღორძინებას იწყებს ჩვეულებრივი შრომითი ცხოვრება.

ნოემბერი ცნობილია უამინდობით — ქარიშხლებით, კოკისპირული წვიმებით, თოვლით. თავისი ჩვევები არც ახლანდელმა ნოემბერმა მოიშალა, ციკლონებით მიიტანა იერიში ბალტიის ზღვაზე, ბელორუსიაზე და რუსეთის ცენტრალურ ოლქებზე.

თითქოს განრიგება ჰქონდათო, აღმოსავლეთისაკენ მოეშურებოდნენ ატლანტიკის გრიგალები. სასტიკი შტორმული ქარები ტყვიისფერ ტალღებს აგორებდნენ ბალტიკაზე, ს